


# ხობის მოამბე

№12 (7025) 26 ივლისი, შაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა



14 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მესამე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

სხდომა №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მინდია ლომაიამ გახსნა, რომელმაც ხობის მუნიციპალიტეტში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები შეაჯამა და საზოგადოებას მუნიციპალიტეტის ახალარჩეული გამგებელი გოჩა ქაჯაია წარუდგინა.

კანონის შესაბამისად საკრებულოს სხდომას საკრებულოს უხუცესი წევრი გენადი ქაძანაია უძღვებოდა. საკრებულოს სხდომამ საკრებულოს 36 წევრის უფლებამოსილება სცნო. ფარული კენჭისყრის შედეგად საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულიქნა ედიშერ ჯობავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ მამუკა ქარდავა.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებად არჩეულიქნენ:

სამანდატო–საპროცედურო საკითხთა კომისია–ნუგზარ შუშანია; იურიდიულ საკითხთა კომისია–შოთა სირაძე; საფინანსო-სარევიზიო საკითხთა კომისია–ტარიელ ალექსანდრია; სოციალურ საკითხთა კომისია –დოდო გაბუნია; ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია–გოჩა სიჭინავა.

ახალ საკრებულოში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ პროპორციული სიით 9, ხოლო მაჟორიტარული სიით 16 წევრი ჰყავს. საკრებულოში პროპორციული სიით „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“–4, „ნინო ბურჯანაძე–ერთიან ოპოზიციას“-1, „კახა კუკავა–არასაპარლამენტო ოპოზიციას“- 1, ხოლო საინიციატივო ჯგუფს–საკრებულოს 4 წევრის მანდატი ხვდა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სია:

1. გაბედავა ვარაზი
2. ქარდავა მამუკა
3. გაბუნია დოდო
4. ცატავა ლაშა
5. ოდიშარია ქეთევანი
6.შუშანია ნუგზარი
7.ფილიპია მერაბი
8.ბუკია ზაზა
9.ჭილაია შადიმანი
10.ქავთარაძე ლევანი
11.ზარანდია გენადი
12.შონია ფრიდონი
13. ლაგვილავა მალხაზი
14. გვასალია ლაშა
15. აბაკელია თენგიზი
16. ლემონჯარია მზია
17. სიჭინავა გოჩა
18. ლოლუა ლეონიდე
19. გოგოლაძე იგორი
20. ნადარაია მერაბი
21. ალექსანდრია ტარიელი
22. ნაჭყებია ალექსანდრე
23. სირაძე შოთა
24. ჯობავა ედიშერი
25. ქაძანაია გენადი
26. გულუა თემური
27. ნადარაია ირაკლი
28. დიანა გულუა
29. სერგია როლანდი
30. ლატარია კახა
31. კუკავა ვასილი
32. წურწუმია ედიშერი
33. მიქაბერიძე კახა
34. ნადარაია ჯემალი
35. გვარამია როსტევანი
36. ქირია ბეჟანი

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შემდეგ სხდომა 16 ივლისისათვის გადაიდო

16 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში განახლდა საკრებულოს პირველი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა უძღვებოდა.

სხდომაზე პირველ საკითხად ცნობის სახით მოსმენილიქნა ინფორმაცია საკრებულოს წევრების ვარაზ გაბედავას და ზაზა ბუკიას ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში თანამდებობებზე დანიშვნის გამო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. მოისმინეს ინფორმაციები ფრაქციების შექმნის შესახებ. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილია 4 ფრაქცია: „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“ –თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე,

„ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“–თავმჯდომარე მალხაზ ლაგვილავა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“–თავმჯდომარე თემურ გულუა.

„თავისუფალი დემოკრატები“–თავმჯდომარე როსტევან გვარამია.

სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიების ახალი დებულებები და შემადგენლობები, განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა.

სხდომის დასასრულს საკრებულოს წევრი ლაშა გვასალია შემოვიდა ინიციატივით ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს დაარსების თაობაზე. წინადადებას საკრებულოს წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

*მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია*

## ჯონი ხეცურიანი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონია, ვულოცავთ!



**ხობელ ახალგაზრდას, ჯონი ხეცურიანს ვულოცავ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. ხობს შესაშური ახალგაზრდობა ჰყავს.**

**თქვენთან ერთად მიხარია ჩემი მუნიციპალიტეტის მკვიდრის წარმატება. იდღეგრძელეთ და წინსვლით იარეთ. ვულოცავ ჯონის მწვრთნელ-მასწავლებლებს: ალმასხან ხუნჯუას და ზვიად ჭითაშვილს ამ დიდ გამარჯვებას. ეს მათი დაუღალავი შრომის შედეგიცაა. ვულოცავ ჯონის ოჯახს, მშობლებს ასეთი საამაყო შვილის აღზრდას.**

**ვიცი, მუნიციპალიტეტს ბევრი წარმატებული სპორტსმენები ჰყავს, მინდა ყველას მოვეფერო და ვუთხრა: ძალიან კარგები ხართ, მოინდომეთ და ასახელეთ თქვენი მუნიციპალიტეტი და ქვეყანა.**

**კიდევ და კიდევ დიდი გამარჯვებები გვქონოდეს ხობელებო.**

*გოდერძი ბუკია,*
*საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ხობის მუნიციპალიტეტიდან.*

## ედიშერ ჯობავა–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ედიშერ ჯობავა დაიბადა 1974 წლის 6 ივლისს.

დაამთავრა ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტი, (კვალიფიკაცია-ეკონომისტი), წარმოების მართვის სპეციალისტი.

**სამუშაო გამოცდილება:**

1998-2000 წ.წ. - სს „საფოსტო ბანკის“ ხობის ფილიალი, ეკონომისტი;

2000-2002 წ.წ.–ქალაქ ხობის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, აპარატის უფროსი;

2007-2008 წ.წ.–შპს „შავი ზღვის ტერმინალი“, ჩატვირთვის ინსპექტორ-ოპერატორი;

2008-.2013წ.–ყულევის შავი ზღვის ტერმინალი, უსაფრთხოების მთავარი ინსპექტორი, ტერიტორიის ტექნიკური ზედამხედველი;

2008-2009 წ.წ. –ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

2013 -2014 - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

2014 წლის 14 ივლისიდან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ჰყავს მეუღლე–ქეთევან კვირიკაშვილი და ორი ქალიშვილი მარიკა და თათია.

## მამუკა ქარდავა–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



მამუკა ქარდავა დაიბადა 1967 წლის 16 ოქტომბერს.

უმაღლესი განათლებით, სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი.

**სამუშაო გამოცდილება:**

2014 წლიდან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

2012-2014 წწ. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

2012 წ.–ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე;

2012 წ. კოალიცია „ქართული ოცნების“ ხობის რაიონული შტაბის უფროსი;

2010 წლიდან –ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ხობი-დემოკრატების“ თავმჯდომარე;

2008 წ. საპარლამენტო არჩევნებში გაერთიანებული ოპოზიციის შტაბის უფროსი;

2004-2010 წწ.–„საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე;

1996-2003 წწ.–კომერციული საქმიანობა;

1991-1995 წწ. –ხობის დაფნის კომბინატის საამქროს უფროსი;

1989-1991 წწ.–ხეთის დაფნისა და ციტრუსების მეურნეობის საწყობის გამგე.

მეუღლე–შორენა ცქირია.

შვილები–მეგი და მაგდა ქარდავები.

## საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ჰიუ ბეილის შეხვდა



შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოსა და ნატოს დაახლოების ფორმატებსა და ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს. საუბარი იყო რეგიონში არსებულ ვითარებაზეც.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია საქართველოს 24 ივლისს ეწვია. დელეგაციაში შედიან: ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტები დანიელ ბაკელენი და კარლ ლამერსი , ასამბლეის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ხულიო მირანდა-კალჰა, ასამბლეის გენერალური მდივანი დევიდ ჰობსი.

## ასოცირების ხელშეკრულება რატიფიცირებულია

### პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა პარლამენტში





მიხარია, რომ დღეს ვარ საქართველოს პარლამენტში, სადაც ვხედავ ასეთ ერთსულოვნებას. ეს არის მთავრობა, ეს არის უმრავლესობა, ეს არის უმცირესობა– ყველა გაერთიანებული ვართ ერთი იდეით,–ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მან შეკრებილ საზოგადოებას ასოცირების შეთანხმების ერთხმად რატიფიცირება მიულოცა. „მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ჩართული იყო ამ გრძელი გზის წარმატებულად გავლაში და მე მინდა, მივულოცო ევროპას და ევროპელებს, პირველ რიგში ქართველებს, როგორც ევროპის შემადგენელ ერს, ის, რომ დღეიდან ევროპა კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო სტაბილური და კიდევ უფრო კულტურულად მრავალფეროვანია“, - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თავის მხრივ, ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების შესახებ პარლამენტის დადგენილებას, რის შემდეგაც სასესიო დარბაზში ევროკავშირის ჰიმნი შესრულდა.

## კარლჰაინც ჰოპფი_საქართველოს მიზანი, გაემყარებინა ურთიერთობები ევროკავშირთან, მიღწეულია



ავსტრია მხარს უჭერს საქართველოს გადაწყვეტილებას და ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ თქვენს გზას, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე ავსტრიის რესპუბლიკის პარლამენტის ეროვნული საბჭოს მოქმედმა თავმჯდომარემ კარლჰაინც ჰოპფმა განაცხადა. მისი თქმით, საქართველოში დღეს არის ისტორიული დღე. “ჩვენ ერთად შევიკრიბეთ, რათა აღვნიშნოთ ისტორიული მომენტი საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის და ასევე ევროპისთვის. რატიფიკაცია ევროკავშირთან არის დიდი პატივი ჩემთვის და მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ საშუალება მომეცით სიტყვით გამოვსულიყავი ამ სხდომაზე. ეს არის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, ეს იძლევა განვითარების ახალ პერსპექტივას.

ბოლო წლებში საქართველომ დიდი პროგრესი განახორციელა. ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიწყო 1992 წელს, მას შემდეგ, რაც დაიბრუნა სუვერენიტეტი. ევროკავშირმა და საქართველომ დაასრულეს მოლაპარაკებები და შეთანხმდნენ ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო ხელშეკრულებაზე. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მიზანი და ამოცანა განხორციელდა, მადლობა ყველას, ვინც შეიტანა წვლილი ამ შედეგის მიღწევაში“, - განაცხადა ჰოპფმა.

მისი თქმით, საქართველოს მიზანი, რომ გაემყარებინა ურთიერთობები ევროკავშირთან, მიღწეულია. „ევროკავშირთან ასოცირებას ხელი 27 ივნისს მოეწერა, ვამაყობ, სხვათა შორის მაგ დღეს ჩემი დაბადების დღეა და ეს არის სიმბოლური არა ჩემთვის, არამედ თქვენი ქვეყნისთვის და მე ვიცი, რომ ეს იყო თქვენი პრემიერის დაბადების წინა დღე“,–აღნიშნა ჰოპფმა.

მისივე თქმით, ასოცირების ხელშეკრულება, შეთანხმება ევროკავშირთან გააღრმავებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს. „როგორც ევროკავშირი მოელის, ეს ქვეყნები გახდებიან ახლო მეზობლები, იქნება განვითარებული და გაზრდილი, თანამშრომლობა იქნება მჭიდრო ევროკავშირსა და მის აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის. ეს შეთანხმება შეიცავს თავისუფალი ვაჭრობის ნაწილსაც. ევროკავშირი ითანამშრომლებს საქართველოს მთავრობასთან პროდუქციის წარმოებაში მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ჩემის აზრით, საქართველო არის პროდასავლური და პროევროპული ქვეყანა. ავსტრია მხარს უჭერს საქართველოს გადაწყვეტილებას და ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ თქვენი ტრანსფორმაციის გზას და მე მსურს დაგარწმუნოთ, რომ ავსტრია ამ ხელშეკრულების რატიფიცირებას მალე მოხდეს“, - აღნიშნა ჰოპფმა.

მისივე თქმით, იგი საქართველოში რამდენიმე დღეა იმყოფება და შეხვედრები ჰქონდა მთავრობის წარმომადგენლებთან. მათ შორის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან. “მე მქონდა საშულება რამდენიმე პარლამენტის წევრსაც შევხვედროდი, ასევე შევხდი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს. ყველა ამ შეხვედრაზე მე ვიგრძენი ნება, მზაობა ევროკავშირის გზაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მზად იქნებით გაიაროთ ეს გზა. დღევანდელმა სხდომამ მე მომცა რწმენა, რომ თქვენ მიაღწევთ წარმატებას. მოგილოცავთ კიდევ ერთხელ და ყველას ვუსურვებ წარმატებულ ევროპულ მომავალს“, - აღნიშნა ავსტრიის რესპუბლიკის პარლამენტის ეროვნული საბჭოს მოქმედმა თავმჯდომარემ.

## გიორგი კვირიკაშვილი– ქართულმა მხარემ სატარიფო ლიბერიზაციის კუთხით ევროკავშირთან უპრეცედენტო შეთანხმებას მიაღწია



ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედება ჩვენს ქვეყანას ევროპულ ბაზარზე საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას აძლევს, - აღნიშნული განცხადება პარლამენტის სხდომაზე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა, რომელმაც დეტალურად ისაუბრა ხელშეკრულების იმ ნაწილზე, რაც თავისუფალ ვაჭრობას ეხება.

„საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი გაეხსნება, რომელიც ამ ეტაპზე 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხარებელს აერთიანებს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტირებისათვის“, - განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილმა განცხადებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულების ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწამოების და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქციის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული პრაქტიკის შესაბამისად.

მისივე თქმით, მოლაპაკებების პროცესში ქართულმა მხარემ სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით ევროკავშირთან უპრეცედენტო შეთანხმებას მიაღწია. როგორც კვირიკაშვილმა განმარტა, ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისას საბაჟო ტარიფისგან განთავისუფლდება. მინისტრის თქმით, საქართველოში შეიქმნება ევროკავშირის სტანდარტის დონის სურსათის კონტროლისა და ხარისხის სისტემები.

## ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა არ იგეგმება

ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა არ იგეგმება და ეს იყო მიზანმიმართული კამპანია, რომელიც მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა, რის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ამ თემაზე სრულიად უსაფუძვლო განცხადებები გაკეთდა და მიზანმიმართული კამპანია დაიწყო.

როგორც ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ პრემიერ-მინისტრს განუმარტა, ამ თემაზე განცხადება „ენერგო-პრო ჯორჯიას” წარმომადგენელმა მისთვის გაუგებარი მიზეზით გააკეთა, თუმცა ტარიფებს არანაირი ზრდა არ ემუქრება.

„ელექტროენერგიის ტარიფს ზრდა არ ემუქრება და შენარჩუნდება ის ტარიფი, რომელიც ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლისას 4 თეთრით შემცირდა”, - განმარტა ვიცე-პრემიერმა.

# თათბირი და საკადრო ცვლილებები ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში

ხობის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული გამგებელი გოჩა ქაჯაია 2014 წლის 14 ივლისიდან უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა.



15 ივნისს გამგეობის საქტო დარბაზში ჩატარდა თათბირი თანამშრომლებთან. გამგებელმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ახალდანიშნული პირები:

ვარაზ გაბედავა–გამგებლის მოადგილე, მახარე ჩოკორაია–გამგებლის მოადგილე, ზვიად ბუკია–ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, დავით ჭოჭუა–საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ზაზა ბუკია–ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, როზეტა შულაია–კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, შოლინა კანკია–შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი, ზაზა კუპრეიშვილი–წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, გოჩა არაჩემია–სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის უფროსი.

თათბირზე გამგებელმა ისაუბრა საკრებულოსა და გამგეობის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებზე, გამგებლის მოადგილეებისთვის გადანაწილებულ სფეროებზე, მუნიციპალიტეტის შპს-ებში მოსალოდნელ რეორგანიზაციის პროცესებზე, შრომით დისციპლინაზე, სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

გამგებელმა გამგეობის ახლადდანიშნულ თანამდებობის პირებს და გამგეობის სხვა საჯარო მოხელეებს წარმატებები უსურვა.

## კადრები

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 14 ივლისის 309-ე ბრძანებით ვარაზ გაბედავა დაინიშნა გამგებლის მოადგილედ.



ვარაზ გაბედავა დაიბადა 1982 წლის 25 სექტემბერს ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონში.

2014 წლის 15 ივნისი - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პროპორციული სიით არჩეულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

2013 წლიდან - მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ხობის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2007 წელი - პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ - თანამშრომელი.

2004 – 2006 წ.წ. - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობა „პოლიტიკური მართვა" (პოლიტოლოგის კვალიფიკაცია) პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი.

2000 -2004 წ.წ. - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, სპეციალობა - „ისტორია."

ოჯახური მდგომარეობა - დაუოჯახებელი.

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 14 ივლისის №313-ე ბრძანებით ზაზა ბუკია დაინიშნა გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების უფროსად



ზაზა ბუკია დაიბადა 1970 წლის 23 იანვარს, ქ.ხობში.

2014 წლის 14 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პროპორციული სიით არჩეულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

2000 – 2012 წ.წ. შპს „ხობის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური განყოფილების" მთავარი ეკონომისტი.

1998-2000 წ.წ. შპს „ხობის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური განყოფილების" მთავარი ბუღალტერი.

ფლობს: რუსულ და გერმანულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 14 ივლისის 314-ე ბრძანებით როზეტა შულაია დაინიშნა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსად



როზეტა შულაია დაიბადა 1972 წლის 27 მარტს ქ.ხობში.

1998 წ. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

2012-2014 წ.წ. - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი კორესპონდენციის მომზადებისა და დოკუმენტბრუნვის რეგულირების საკითხებში.

2012 წ. - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

2011-2012 წ.წ. - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

2011 წ. - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე.

2010 წ. - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

2010 წ. – ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" თეატრალური დასის სამხატვრო ხელმძღვანელი.

2009-2010 წ.წ. - ადგილობრივი ტელევიზია „კოლხეთი მედიას" პრესცენტრის უფროსი.

1997 წ. - ხობის №1 საშუალო სკოლის პედაგოგი.

1991-1997 წ.წ. - ნოჯიხევის საშუალო სკოლის პედაგოგი.

1989-1991 წ.წ. - კუთხე ნოჯიხევის არასრული საშუალო სკოლის მუსიკის წრის ხელმძღვანელი.

ფლობს რუსულ და გერმანულ ენებს. მიღებული აქვს „საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენელთათვის საჯარო სამსახურის პოლონური მოდელის დანერგვისა და საჯარო სამსახურში თანამდებობის აღწერა შეფასების სწავლების" სერთიფიკატი .

ჰყავს ორი შვილი.

## მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულო

### სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ შუშანია



მაჟორიტარი, „თავისუფალი დემოკრატები."

დაიბადა 1986წ 8 სექტემბერს ქ. ხობში.

დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, სპეციალობით გეოგრაფი.

დაოჯახებული.

### საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე– ტარიელ ალექსანდრია



მაჟორიტარი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

დაიბადა 1981 წ. 27 ოქტომბერს სოფელ ქვემო ქვალონში.

დაამთავრა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებული „მცირე აკადემია", საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობების მენეჯერის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

2002-2003 წწ. საქართველოს ეკონომიკურ განვითარების სამინისტრო - სტაჟიორი, 2003-2004 წწ ტელეკომპანია „იმედი"- უსაფრთხოების თანამშრომელი, 2011-2014 წწ ტაქსოპარკი - მენეჯერი.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

### სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია



პროპორციული სიით „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო".

დაიბადა 1954 წლის 21 თებერვალს ქ. სენაკში.

დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის (ლენინგრადის) პედიატრიული სამედიცინო ინსტიტუტი, პედიატრი.

სამუშაო გამოცდილება:

1979-1981 წწ. ენგურჰესის სამედიცინო სანიტარული ნაწილი-ექიმ-პედიატრი, 1981 წლიდან ხობის რაიონული ცენტრალური საავადმყოფო-პედიატრი.

2008 წლიდან არის პედიატრიც და ოჯახის ექიმი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულო

## იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე–შოთა სირაძე



მაჟორიტარი, „ქართული ოცნება- რესპუბლიკელები“

დაიბადა 1965 წლის 16 იანვარს ქ. ხობში.

განათლება–უმაღლესი, დაამთავრა აფხაზეთის ა.მ.გორკის სახელობის უნივერსიტეტი, იურისტი-სამართალმცოდნე.

სამუშაო გამოცდილება:

1987-90წწ ხობის რაიონული საბჭოს აღმასკომი, კომისიის თავმჯდომარე, საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ხობის გამგებლის თანაშემწე, 1990-93 წწ იურიდიული განყოფილების გამგე.

1993-2011 წწხობის რაიონული სასამართლოს მოსამართლე–სასამართლოს თავმჯდომარე, 2012-2014 წწ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა–საორგანიზაციო განყოფილების გამგე, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

## ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავა



მაჟორიტარი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

დაიბადა 1972 წლის 15 ოქტომბერს სოფელ ნოჯიხევში.

განათლება–უმაღლესი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ინჟინერ-ტექნოლოგი.

სამუშაო გამოცდილება:

1992-1993 წწ ხობის ჩაის კომბინატის გრანულის საამქრო - ცვლის უფროსი, 2000- 2003 წწ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის რაიონის ხარისხის ინსპექციის უფროსი. 2008-2014 წწ ყულევის ნავთობტერმინალის „სოკარ-ჯორჯია სექიურიტის“ უსაფრთხოების სამსახური -უსაფრთხოების ოფიცერი.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

## ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე



**მაჟორიტარი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“**

დაიბადა 1973წ I იანვარს ქ. ხობში.

განათლება–უმაღლესი, სანქტ-პეტერბურგის ი.პ.პავლოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - ნევროლოგი.

სამუშაო გამოცდილება:

სანქტ-პეტერბურგის ი.პ. პავლოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრის კლინიკური ორდინატურა, 2001-2008 წწ სანქტ-პეტერბურგის ქალაქის N 2 მრავალპროფილიანი საავადმყოფოს ნეიროქირურგიული ცენტრის ნევროლოგი, 2009-2014 წწ შპს „მკურნალის“ ნევროლოგი, დირექტორი.

დაოჯახებული.

## ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თემურ გულუა



**პროპორციული სიით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.**

დაიბადა 1957წ 5 ოქტომბერს, სოფელ გურიფულში.

განათლება - უმაღლესი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი - სწავლული აგრონომი.

სამუშაო გამოცდილება:

1980-1984 წწ ნოჯიხევის ჩაის მეურნეობის ბრიგადირი, 1984-1985 წწ პირველი მაისის კოლმეურნეობის აგრონომი, 1985-1990 წწ ტრესტ „კოლხეთის“ აგრონომი, 1990-1992 წწ ხობის აგრომრეწველობის გაერთიანების თავმჯდომარე, 1992-1994 წწ საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკის დირექტორი, 1997-2000 წწ სს „კემულარიების“ დირექტორი. 2006 წ. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.

დაოჯახებული.

## ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე მალხაზ ლაგვილავა



**მაჟორიტარი, „ქართული ოცნება- რესპუბლიკელები“**

დაიბადა 1966წ 28 ივლისს სოფელ პირველ მაისში.

განათლება - უმაღლესი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი- ინჟინერ გეოლოგი, ეკონომისტი.

სამუშაო გამოცდილება:

1989-91 მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი. 1991-93 წწ წარმოების და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა ხობის რაიონული კავშირის თავმჯდომარე.1997- 2001 წწ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის ბიუროს უფროსი. 1998-2002 წწ ხობის რაიონის საკრებულოს წევრი.2001-2005 წწ სახელმწიფო ანტიმომოპლიური სამსახურის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსი. 2002-2006 წწ სოფელ პირველი მაისის საკრებულოს წევრი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“- თავმჯდომარე როსტევან გვარამია



**მაჟორიტარი, უპარტიო**

დაიბადა 1961 წ 10 იანვარს, პირველ ხორგაში.

განათლება - უმაღლესი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, სანქტ-პეტერბურგის აკად. იოფის სახელობის აგროფიზიკის ინსტიტუტი, სწავლული აგრონომი.

სამუშაო გამოცდილება:

1984-1990წწ ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო გაერთიანებათა კოლხეთის ფილიალის მეცნიერ თანამშრომელი, ასპირანტი, 2005-2007 წწ სამეგრელო ზემო სვანეთის მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს ხელმძღვანელი, 1990-1992წწ ქ. ფოთის პრეფექტის პირველი მოადგილე.

ოჯახური მდგომარეობა -დაუოჯახებელი.

# პროფესიული კავშირის მე-5 საანგარიშო საარჩევნო კონფერენცია



11 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში, ხობის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის V საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია ჩატარდა.

მოხსენებით გამოვიდა პროფესიული კომიტეტის თავმჯდომარე დიანა ჯანჯღავა. კონფერენციაში აქტიურად ჩაერთვნენ და სიტყვით გამოვიდნენ რალა ჩემია, ცისანა სიხარულია, ნინა ბუკია და ნანა გვასალია.

საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე განიხილეს და შეაჯამეს საჯარო მოსამსახურეთა ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიულ კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის მიერ 2010-2014 წლამდე გაწეული მუშაობა. დელეგატთა მიერ ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარედ არჩეულიქნა დიანა ჯანჯღავა, სარევიზიო კომისიის შემადგენლობა და საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის XI საანგარიშო-საარჩევნო კონგრესის დელეგატები. სიტყვით გამოსვლისას პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ თანადგომა გამოუცხადა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, აღნიშნა, რომ მათ ანგარიშზე გადარიცხა თანხა 200 ლარის ოდენობით და მოუწოდა საქართველოს მასშტაბით ყველა პროფესიულ კავშირის ორგანიზაციას ამ კეთილ საქმეში მონაწილეობა მიიღონ.



## სადაურსა სად წაიყვან...

# „გამარჯობა, მუჭო რექ, ჯგირო!“

ცხოვრება რომ მოულოდნელობებითაა სავსე, არახალია... ჩემმა პროფესიამ უბრალოდ შემაჩვია მსგავს შემთხვევებს...

წლების წინათ, ქვალონში დაფასებულ, ლამაზ, მორიდებულ ქალბატონს ვიცნობდი. დედაჩემი ხშირად ამბობდა, ჟენია ლორჩოშვილზე, რა ცხოვრებაგამოვლილი ქალია, მაინც შეინარჩუნა თავისი ქალურობა და სინაზე. ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ქალი ზოგიერთ მამაკაცზე ძლიერიაო. შემდეგ, წლების წინათ, როცა ჩვენი გაზეთი რეპრესირებული ოჯახების ცხოვრებით დაინტერესდა, შინ ვეწვიე...

ქალბატონმა ჟენიამ იუარა, წარსულზე საუბარი არ ესიამოვნა, საბოლოოდ მაინც არ მაწყენინა და მცირეოდენი ინფორმაცია მომაწოდა.

მისი მეუღლე, ბიქტორ კვარაცხელია, სამამულო ომში გაუწვევიათ, შინ ახალგაზრდა მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი და დედა დარჩენილან. მოხდა ისე, რომ ტყვედ ჩავარდნილ ჯარისკაცს მოუხერხებია საფრანგეთში გადასვლა და ასე „მიაკერეს“ ბიქტორ კვარაცხელიას სამშობლოს მოღალატის სტატუსი.

მეუღლე, შვილი და დედა ციმბირის გზას გაუყენეს.. გავლილი ცხოვრების გზის გახსენებაც შემზარავი იყო მისთვის. ვაჟს გოდერძი კვარაცხელიას სლავა დაარქვა და მისი გვარი მიანიჭა. წლები შიშით იცხოვრა, დარდით და სევდით გაიარა თავისი წილი წუთისოფელი, ცხოვრებამ თავისი გაიტანა, სასჯელ-მოხდილი დაბრუნდა. შვილს გვარი დაუბრუნა, შვილიშვილებს მოესწრო... და დაღლილ და გათანგულ სხეულს განაჩენი თავად გამოუტანა...

თითქოს დასრულდა კვარაცხელიების ოჯახში იმ წლების მოგონება, შვილიშვილებმა განათლება მიიღეს, ულამაზესი შვილთაშვილები სტუდენტები არიან... ერთი ლამაზი და სიყვარულით სავსე მანანა და ბურდა (ნუკრი) კვარაცხელიების ოჯახი ავსებდა ქვალონელთა ცხოვრებას, მაგრამ წუთისოფელი ხანგრძლივ ვის გაახარებს. ამასწინათ გლოვის ზარმა კვლავ ჩამოჰკრა მათ ოჯახში ქალბატონი ჟენიას შვილიშვილი ნუკრი (ბურდა) კვარაცხელია მოულოდნელად გარდაიცვალა, მწუხარებამ დაისადგურა ირგვლივ... ადათ-წესების დაცვით დაიკრძალა სულცხონებული, სტუდენტმა შვილებმა ვერც გააცნობიერეს ეს უბედურება, რომ ახალი „განსაცდელი“ მოუვლინა განგებამ. ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ ჟურნალისტმა თენგიზ გოგოტიშვილმა აცნობა, რომ საფრანგეთში მცხოვრები ნიკოლოზ კვარაცხელია ეძებდა წინაპრებს, ბიძაშვილებს...

ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთა და საარქივო მასალების დახმარებით გაირკვა, რომ ნიკოლოზ კვარაცხელია, რომელიც საქართველოში ეძებდა ახლობლებს, სწორედ საფრანგეთში მცხოვრებ ბიქტორ კვარაცხელიას შვილიშვილი ყოფილა. სულნათელი ნუკრის ოჯახი აფორიაქდა, შემდეგ მისი შვილები იტყვიან, რომ სული განცდამ შეიპყრო, მოკლე მოლოდინი გაიწელა, ნიკოლოზის და მისი მეუღლის შესახებ უკვე ჰქონდათ ინფორმაცია, იცოდნენ, რომ მათი ფრანგი ქართველი ბიძაშვილი რაგბისტი ყოფილა, მეუღლე კი ბანკის თანამშრომელი. მთელმა საგვარეულომ მოიყარა თავი ჯერ კიდევ მგლოვიარე ოჯახში, ერთმანეთში არეულა სიხარულის და ტკივილის ცრემლი. სითბო და სიცივე, სიცივე იმ უბადრუკი წლებისა, რომელმაც შექმნა ამ ოჯახის ტრაგედია...

შემდგომ ნიკოლოზ კვარაცხელია, დიდი ბაბუის–ბიქტორ კვარაცხელიას შვილიშვილი იტყვის, რომ მართლაც სხვა ფერი აქვს საქართველოს ზეცას, სხვა სითბო მიწას, სხვა სიყვარული სცოდნიათ ქართველებს, ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლშიო...

–გამარჯობა, მუჭო რექ, ჯგირო! (გამარჯობა, როგორ ხარ, კარგად!) ეს სამი სიტყვა მისგან ხშირად განმეორებული, გულის ძარღვებს გვითბობდა იქ მყოფ ადამიანებს. მისი შთამომავლის ნათელა კვარაცხელიას სიხარულის ცრემლები და ლოცვა-კურთხევა თან გაიყოლა ნიკოლოზ კვარაცხელიამ საფრანგეთში... 84 წლის მამასთან, ბიქტორ კვარაცხელიასთან და კიდევ ბაბუისა და მისი ძმის ახალგაზრდობის ფოტოები...

მომავალ შეხვედრამდე, ნიკოლოზ!

***მერი ლაგვილავა***

***P.S. ერთადერთი, რაც სიამაყით მინდა აღვნიშნო, თეონა და შოთიკო კვარაცხელიების მისამართით, მათ ინგლისური ენის ცოდნით ენის ბარიერი არ ჰქონიათ და სტუმარ-მასპინძლის გულის ნადები ჩინებულად გაგვანდეს. მადლობა მათ ამისთვის.***

***მკითხველს ვთავაზობთ აწუკვე უნივერსიტეტდამთავრებულ თეონა კვარაცხელიას სტატიას, სადაც გადმოცემულია მათი ოჯახის განცდები....***

---

# თურმე, უნდა ელოდო მოულოდნელს...

ეს მოკრძალებული სტატია ეძღვნება სულთა იმ კავშირს, რომელიც დროისა და მანძილისგან დამოუკიდებელია!

3 ივნისს მამა გარდამეცვალა... 10 ივნისს (მისი დაკრძალვის დღეს) მისი ერთერთი ოცნება რეალობად გვექცა: საფრანგეთიდან ჩამოვიდა მისთვის უცნობი ბიძაშვილი, ნიკოლოზ კვარაცხელია, მეუღლე -ანასთან ერთად. ჩემი ოჯახისა და სანათესაოს ემოციებისა და სიხარულის გასაჯაროებას, გაზეთ „ხობის მოამბეს“ დახმარებით, ვუძღვნი მამიკოს ახდენილ ნატვრას, მისი უცნობი ქართველი ბიძაშვილების პოვნას!

ჩემმა ოჯახმა არ იცოდა, რომ საზღვარგარეთ ნათესავები გვყავდა. მიუხედავად იმისა, რომ მამას, ფაქტობრივად, არანაირი ხელჩასაჭიდი ინფორმაცია არ ჰქონდა. ვარაუდობდა და ხშირად ამბობდა, რომ ვგრძნობ, მე აუცილებლად მეყოლება ნათესავები საზღვარგარეთო! ამის გათვალისწინებით და იმ უბედურების ფონზე, რაც ჩემი ოჯახის რეალობაა, მამის დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში იმის გაგება, რომ თურმე მამას ჰყავს ბიძაშვილი, რომელიც ეძებს მის დაკარგულ ნათესავებს საქართველოში და ამ მიზნით ჩამოსულია, თბილისში, სწორედ მამაჩემის დაკრძალვის მომდევნო დღეს, ჩვენთვის იყო და ჯერ კიდევ რჩება გაუცნობიერებელ ემოციად. დიდი სიხარული და დიდი ტკივილი თანმიმდევრობით და ერთდროულად-ეს ჩვენი რეალობაა!.. უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენით, პირველ რიგში, მამაჩემის ნების, მისი სურვილის წინაშე, რადგან მის გარეშე პირველად უნდა მიგვეღო ჩვენი ოჯახის ღირსეული სტუმარი საფრანგეთიდან ქართული ფესვებით!



მინდა ვაღიარო, რომ ჩემს ნათესავებში და ახლობლებში ამ ამბისგან გამოწვეული ემოცია მეხმარებოდა დაუჯერებელი რეალობის გაცნობიერებაში. დიდი მღელვარებით ველოდებოდი ნიკოლოზთან შეხვედრას. ამ ისტორიის დაუჯერებლობამ და ჩვენს შორის მამიკოს არყოფნამ, მოსვენება დაგვაკარგვინა. როგორც მოგვიანებით გავიგე, ნიკოლოზიც ძალიან აღელვებულა, როდესაც უთხრეს, რომ მისი ბიძაშვილები იპოვეს და ისინიც მოუთმენლად ელოდებიან მასთან შეხვედრას! ნიკოს ცრემლებადქცეული, მოზღვავებული გულწრფელი ემოცია ჩემს სახლში შეკრებილმა ყველა ადამიანმა, საკუთარი თვალით იხილა! მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ წარმოვიდგინე როგორი იქნებოდა ჩვენი პირველი შეხვედრა, მისგან გამოწვეულმა უსაზღვრო ემოციებმა დაგვადუმა ყველანი, ვინც მივდიოდით ნიკოს დასახვედრად ქუთაისში! იქიდან წამოსულებს თურმე მძაფრი ემოციები ჯერ კიდევ წინ გველოდა. ჩემს სახლში, სადაც ჩვენს სანათესაოსთან ერთად ბევრი ქვალონელი ელოდა სტუმრების ჩამოსვლას. სახლში შემოსვლისას ნათელა კვარაცხელია, უხუცესი ქალბატონი იმ სანათესაოსი, რომლის პოვნის სურვილმა ნიკო საქართველოში ჩამოიყვანა, ისეთი გულწრფელი სიტყვებით და სითბოთი მოგვეგება, რომ ნიკომ და ანამ ყველაფერი თარგმნის გარეშე გაიგეს! საოცრად ემოციური იყო ჩვენი შეხვედრის გულრწფელობა გამოხატული არა მარტო ჩვენს, არამედ ნიკოს ცრემლებში, ყოველი ახალი დეტალის და ინფორმაციის გარკვევისას ნიკო და ანა სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდნენ!

ამ დაუჯერებელი ისტორიის დასაწყისი, ჩემი ოჯახის ისტორიის უახლოეს წარსულს, ნამდვილად არ უკავშირდება, ამიტომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ჩვენთვის უცნობი ბიძაშვილის და მისი მეუღლის მიერ გამოჩენილი მონდომებით, მოეძებნათ ქართველი ნათესავები, ვამაყობთ! ნიკოლოზ კვარაცხელია არის შვილიშვილი ჩემი დიდი ბაბუის, ბიქტორ კვარაცხელიასი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა, საბჭოთა კავშირის სახელით. ომში წასვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ იგი ტყვედ ჩავარდნილა,მაგრამ მოუხერხებია საფრანგეთში გადასვლა. წლების შემდეგ იქ ცოლად შეურთავს ესპანელი წარმომავლობის ქალბატონი მარია, რომლისგანაც ჰყოლია ოთხი შვილი: სამი გოგონა და ერთი ვაჟი,სახელად ბიქტორი და სწორედ ამ ბიქტორის შვილია ნიკოლოზ კვარაცხელია, რომელიც მეუღლესთან ერთად საქართველოში უცნობი ნათესავების საძებნელად ჩამოვიდა. თურმე ნიკოს ბაბუა საიდუმლოდ ინახავდა მისი ქართული ოჯახის, მისი ნათესავების შესახებ ინფორმაციას, ეშინოდა, რომ მის ოჯახს საფრთხე დაემუქრებოდა, ამიტომ ნიკომ მხოლოდ ის იცოდა, რომ ბაბუამისი ქართველი იყო და როდესაც ანას ვკითხე, რა ინფორმაციით ჩამოხვედით საქართველოში, რა იცოდით ჩვენს შესახებ მეთქი, მიპასუხა, რომ ბაბუის ქართული წარმომავლობის გამო, ლოგიკურად ჩავთვალეთ, რომ საქართველოში მას დები ან ძმები, მათი შვილები ან შვილიშვილები მაინც ეყოლებოდაო, მაგრამ ღმერთმა ინება და ბიძაშვილებს ერთმანეთი გვაპოვნინა!



და ბოლოს, აუცილებლად უნდა ითქვას ნიკოლოზისა და ანას პიროვნული ღირსების წინაშე. ისინი თავიანთი სიყვარულითა და პატივისცემით მათი ოჯახის წარსულისადმი, უცნობი და დაკარგული ისტორიის შემოქმედები არიან. სამაგალითოა მათი დამოკიდებულება ნათესავების მიმართ, რომელიც გამოიხატა მათ მონდომებაში,გურწფელ ემოციასასა და პასუხისმგებლობაში. ჩვენთან ჩამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ ნიკომ მითხრა,რომ ჩვენთან თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

ნიკო 31 წლის არის,სპორტსმენია, რაგბს თამაშობს. ანა 30 წლისაა, ბანკის თანამშრომელია. ორივენი აქტიურად ცდილობენ კარიერულ წინსვლას, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოფელში აშენებენ ახალ სახლს, როგორც ანამ თქვა, ნიკოს სოფელი და მიწა ძალიან უყვარს...

მინდა მთელი ჩემი ოჯახის და პირველ რიგში მამიკოს სახელით, მადლიერება გამოვხატო ნიკოლოზისა და ანას მიმართ, ამ ადამიანების მონდომებამ ოჯახის წევრებს შორის 75 წლის წინ გაწყვეტილი კავშირი აღადგინა!

გულწრფელ მადლობას ვუხდი უკლებლივ ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენი შეხვედრის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღო.

**თეონა კვარაცხელია**

# ახალგაზრდებს საინტერესო დღეები ელოდებათ...

***ნომრის სტუმარია გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ქალბატონი ნანა ბუკია, რომელსაც ვთხოვეთ ვრცლად ესაუბრა მათი განყოფილების მიერ განხორციელებულ თუ განსახორციელებელ პროექტებზე.***



***ქალბატონო ნანა, თქვენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი ბრძანდებით, ეს ის სამსახურია, რომელიც დიდ შრომასა და მუდმივ მოქმედებას ითხოვს. რას გვეტყვით თქვენი განყოფილების შესახებ?***

–გაზეთი „ხობის მოამბეს“ საშუალებით მინდა მივესალმო მკითხველებს, ჩვენს ახალგაზრდებს... მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მუშაობის შესახებ პერიოდულად ვაქვეყნებთ ანგარიშებს, ხშირად იბეჭდება ჩვენი თანამშრომლის ლევან ლემონჯავას კორესპონდენციებიც, მაგრამ ამ ტიპის ურთიერთობა დიდიხანია არ გვქონია და მადლობას მოგახსენებთ, რომ მომეცით საშუალება, თქვენთან ერთად ვესაუბრო საზოგადოებას. რაც შეეხება დასმულ კითხვას, უნდა ვთქვა, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება მართლა მუდმივმოქმედი სამსახურია და ითხოვს არამარტო სურვილსა და ინიციატივას, არამედ მისი შესრულების უნარს–ცოდნას საქმის კეთებისას. გვაქვს განხორციელებული საინტერესო პროექტები–შემოქმედებითი კონფერენცია, ინტელექტშოუ, მუსიკალური კონკურსი „ვარსკვლავები,“ „ჩვენ გვიყვარს ჩვენი არმია,“ „სილამაზის მეჯლისი,“ „საახალწლო ზღაპრები,“ ექსკურსიები სხვადასხვა მიმართულებით... ყოველივე ეს არის ნაწილი იმ პროექტებისა, რომლებიც ახალგაზრდებმა ჩვენთან ერთად განახორციელეს და საზოგადოებამ უკვე ნახა. ყოველ ასეთ ღონისძიებას თავისი გამარჯვებულები და რჩეულები ჰყავს, ყოველ ასეთ შეხვედრაზე ახალი სახეები იკვეთება... ახალი მეგობრები გვემატება... ეს პროექტები ახალგაზრდებს არ ავიწყდებათ. ძალიან გამიხარდა, როცა წავიკითხე სოციალურ ქსელში უკვე დიდი ხნის წინ ჩატარებულ კონკურსზე, თუ როგორ შეფასებებს აკეთებენ ახალგაზრდები დღესაც (ანა ვეკუა–„ოქროს ვარდის“ მფლობელი გახდა)... ამ პროექტებმა წარმოაჩინა ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, მე შემიძლია ჩამოვთვალო მათი სახელები და გვარები, ზოგი მათგანი უკვე სტუდენტია, ზოგი ჯერ ისევ ემზადება ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად... ასეთი ახალგაზრდები გვამხნევებენ და გვაძლევენ ძალას იმისათვის, რომ ყოველი ახალი პროექტი უკეთ ვაკეთოთ.

სულ რამოდენიმე კვირის წინ განვახორციელეთ პროექტი–„ჩვენ გვიყვარს სამყარო“–გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით. დავასუფთავეთ ხობის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიები და დავრგეთ უნიკალური მცენარე–კოლხური ბზა. გვინდა ხელი შევუწყოთ იშვიათი ჯიშის მცენარეების გამრავლებას და გარემოს გალამაზებასაც. ამ პროექტს ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა და მათთან ერთად ერთი ნაყოფიერი დღე გავატარეთ შრომასა და გარჯაში...

***დაახლოებით ერთი თვის წინ ჩვენს ქალაქში „ახალგაზრდული დღეები–2014“ ჩატარდა. რას გვეტყვით ამის შესახებ?***

–დიახ, ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლა რესპუბლიკური მასშტაბის პროექტს „ახალგაზრდული დღეები–2014,“ რომლის დევიზიც გახლდათ „ევროპული მომავლისთვის.“ ეს იყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ სწორად განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელება. მოგეხსენებათ, რომ ხობში ვერ მოიკიდა ფეხი ვერცერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა და სტუდენტების ძლიერი მესიჯები, რომელსაც ისინი მთელი ქვეყნის მასშტაბით აგზავნიდნენ, არ ისმოდა პატარა ხობში. საჭირო იყო ძლიერი მუხტი და მივიღეთ კიდეც. ჩვენი ქვეყნის 8 უმაღლესი სასწავლებლის მუსიკალურმა ბენდმა მოგვიწყვეს ნამდვილი მუსიკალური ზეიმი. ეს დღე დიდხანს გვემახსოვრება. ხობმა ღირსეული მასპინძლობა გაუწია ჩამობრძანებულ სტუმრებს, მიუხედავად ხალხმრავლობისა, ქუჩაშიც კი არანაიარი წესრიგის დარღვევა არ დაფიქსირებულა.

„ახალგაზრდული დღეები–2014-ის“ დასასრულს, თბილისში გამართულ დასკვნით შეხვედრაზე ჩვენი მუნიციპალიტეტი და კერძოდ, ჩვენი სამსახური ამ პროექტის განხორციელებაში გაწეული შრომისათვის საქართელოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ საპატიო სიგელითა და ემბლემით დააჯილდოვა. ჯილდოები გადაეცა ჩვენი სამსახურის უფროსს ქალბატონ ფერიდე გოგიას.

***თქვენ ევროპული მომავალი ახსენეთ და არ შემიძლია არ გკითხოთ, როგორია თქვენი აზრი, შეხედულებები 27 ივნისს ხელმოწერილ ასოციირების ხელშეკრულებაზე?***

–ასოცირების ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნის წინგადადგმული ნაბიჯია საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის ძირეული შეცვლა. არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ევროპისკენ ჩვენი სწრაფვა ეს არ არის ვინმესგან თავსმოხვეული პოლიტიკა, ეს ჩვენი საუკუნოვანი მოთხოვნილებაა. ვულოცავ სრულიად საქართველოს ამ საუკუნოვან გამოძახილთან მიახლოებას და ვუსურვებ, უმოკლეს ვადებში, სრულუფლებიან წევრობას ევროპის დიდ ოჯახში.

***როგორ ურთიერთობთ თქვენ სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან?***

–საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დიდი ხანია მუშაობს ახალგაზრდობის შესახებ კანონზე. ჩვენ სათანამშრომლოდ მათი მოთხოვნის საფუძველზე, გავაგზავნეთ წინადადებები კანონების ჩამოსაყალიბებლად.

მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის სხდომაზე ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი დაამტკიცეს.

ახალგაზრდული პოლიტიკის საშუალებით ხელი შეეწყობა ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

ეს არის დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედება მთავრობის მიერ ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ ქმედებებს.

***რა ღონისძიებები კეთდება ახალგაზრდობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად?***

–ჩვენი ყოველი პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაა. აი, ამ წუთებშიც ქ. ზუგდიდში მიმდინარეობს ქუჩის კალათბურთში შეჯიბრება, სადაც ხობელი ახალგაზრდებიც იღებენ მონაწილეობას...

***თქვენი სამსახურის სახელწოდებიდან გამომდინარე, აქტიური ცხოვრება გაქვთ. რომელი იყო თქვენი ყველაზე წარმატებული პროექტი?***

–ყველა პროექტს თავისი დანიშნულება აქვს და თუ მიზანს აღწევს, ე.ი. წარმატებული არის, მაგრამ მე მაინც გამოვყოფ პროექტს–„რა, სად, როდის?“ მისი მასშტაბურობიდან და ინტელექტუალური შინაარსიდან გამომდინარე.

***რას გვეტყვით პრობლემებზე?***

–პრობლემები რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ეს ძირითადად განპირობებულია ჩვენში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დაბალი დონით. მაგალითად ცხადდება კონკურსები სხვადასხვა ფონდებში, სადაც შესაძლებელია ახალგაზრდებმა მოიპოვონ გრანტები და განახორციელონ პროექტები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ საამისოდ სათანადო ცოდნა არ გააჩნიათ, არა აქვთ ცოდნა არაფორმალურ განათლებაზე, ეს არამარტო ხობის, არამედ ზოგადად მთელი ქვეყნის პრობლემაა. ასევე უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ახალგაზრდების დასაქმების საკითხი. ჩვენს მუნიციპალიტეტში არიან სხვადასხვა უნარით გამორჩეული, ინტელექტუალი ახალგაზდრები, რომლებსაც სჭირდებათ მათ საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს დასაქმება. ეს საკითხი სოფლების „დაცარიელების“ პრობლემასთან არის კავშირში და მას განსაკუთრებული მიდგომა და გადაწყვეტა უნდა. უმთავრესი საკითხი, მოგეხსენებათ, არის ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლები და მისი ზრდა, რომლებზეცაა დამოკიდებული ყოველი საპრობლემო საკითხის დადებითად გადაჭრა.

ძალიან მძიმე პრობლემაა ჩვენთვის ის, რომ სპორტის უმეტესი სახეობისთვის არა გვაქვს სპორტული დარბაზები, ხობში არ არის სპორტის განვითარების ცენტრი, სადაც სპორტის თემასთან დაკავშირებული ყოველგვარი საკითხები შეიძლებოდა განხილულიყო. დღეს




ჩვენი საზოგადოება რეორგანიზაციის მოლოდინშია, ვფიქრობ, ამ საკითხებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა შესაფერის გადაწყვეტილებებს მიიღებს.

დღევანდელი ჩვენი ყოფის ხარისხი იმით იზომება თუ რა დონის გასაქანს ვაძლევთ საზოგადოებას, ახალგაზრდობას განვითარებისთვის. ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობა და სპორტი ერთიანად დამოუკიდებლად უნდა ამბობდეს სათქმელს და უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საერთო საქმეების გადაწყვეტილებების მიღებაში.

***ბიუჯეტის სიმცირე საზოგადო პრობლემაა, მაგრამ ვიცით, რომ მიუხედავად ამისა, თქვენს სფეროში წარმატებები გაქვთ.***

–დიახ, მიუხედავად ეკონომიკური პრობლემებისა, ამ მწირი თანხებით, ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა მაინც ახერხებს მშობლიური მუნიციპალიტეტის წარმოჩენას. ძალიან ბევრი გვყავს წარმატებული სპორტსმენი მძლეოსნობაში, კარატეში, ბერძნულ-რომაულ თუ ქართულ ჭიდაობაში, ბილიარდში. მაგალითად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ხობელმა ნუგზარ წურწუმიამ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოიპოვა და 11 ივნისს ნუგზარი და ჯონი ხეცურიანი გაემგზავრნენ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრატისლავში. განსაკუთრებულად გამოვყოფ აგრეთვე ჩვენს ნორჩ მოჭადრაკეებს–დიანა ლომაიასა და თეიმურაზ კვიკვინიას. ქ. ქუთაისში (მაის-ივნისი) საქართველოს ჭადრაკის ჩემპიონატზე დიანა ლომაიამ, 10 წლის გოგონათა შორის მე-2 ადგილი დაიკავა და მიიღო ევროპის ჩემპიონატის საგზური, რომელიც ოქტომბრის თვეში ბათუმში გაიმართება და ჩვენ დიანასგან შემდგომ წარმატებებს ველოდებით. ხოლო თეიმურაზ კვიკვინიამ, 8 წლიანებში, საქართველოს ჩემპიონატზე, რომელიც მაისის თვეში მარნეულში გაიმართა, სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მიიღო. ეს ძალიან დიდი წარმატებებია და ვფიქრობ, სიამაყით აღავსებდა ნებისმიერ ქვეყანას ასეთი ნიჭიერი ბავშვების–უკვე რეიტინგული მოჭადრაკეების ყოლა. მათ მონაწილეობას აღნიშნულ ჩემპიონატებზე სახელმწიფო დააფინანსებს.

***რას გვეტყვით მომავალ პროექტებზე?***

–სამომავლოდ საინტერესო პროექტები ელოდება ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს. უკვე დაიწყო მასალების გადაღება დოკუმენტური ფილმისთვის, რომელიც ხობის ღირსშესანიშნაობებს ეხება და ხელს შეუწყობს ჩვენში ტურიზმის განვითარებას. ეს არის პროექტი სახელწოდებით–„არის ასეთი ქვეყანა“. გვექნება ინტელექტ თამაშები მუნიციპალიტეტის მასშტაბით და რა თქმა უნდა, ექსკურსიები სხვადასხვა მიმართულებით. სპორტშიც გვექნება საინტერესო შეჯიბრებები ნარდში, ლელობურთში, რომელიც უკვე კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი, ასევე გვექნება მინიფეხბურთები, ჭადრაკი და ა.შ. წინ საინტერესო ზაფხული და საერთოდ, საინტერესო წელი გველოდება. ჩვენი განყოფილება ყველაფერს ეცდება, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები კმაყოფილები დარჩნენ განხორციელებული ღონისძიებებით.

***დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ შემდგომ წარმატებებს.***

–მადლობთ.

***ესაუბრა***
***ნანა კემულარია.***

**P.S.** *მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავიგეთ, სამსახურის ხელმძღვანელი ქალბატონი ფერიდე გოგია ქალბატონმა როზეტა შულაიამ ჩაანაცვლა. გავიგეთ მნიშვნელოვანი სასიხარულო ცნობაც, მსოფლიო ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჯონი ხეცურიანმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მიიღო.*

*ხობში კვლავ გრძელდება საინტერესო ახალგაზრდული ცხოვრება, ხორციელდება ახალი პროექტი: „ჩვენი ზაფხული ხობში,“ რომელიც ახალგაზრდებში დიდ ენთუზიაზმს და სიხარულს იწვევს...*

# გიხაროდენ! ჯონი ხეცურიანმა გვასახელა!



სლოვაკეთის ქალაქ სნინაში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მრავალი ქვეყნის მონაწილეთა შორის ხობელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის (დირექტორი ხათუნა ხორავა) სასპორტო სკოლის ნორჩი მოჭიდავე და საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი ჯონი ხეცურიანი ასპარეზობდა. მან 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში საკმაოდ დამაჯერებლად იასპარეზა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა (მწვრთნელ-მასწავლებელი: ალმასხან ხუნჯუა, ზვიად ჭითაშვილი).

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ულოცავს ნორჩ მოჭიდავეს დიდ წარმატებას.



მოლოცვაში

# ეს წიგნი ყველა განათლებულმა ადამიანმა უნდა წაიკითხოს

რამდენად ბედნიერია ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში მდიდარ, ბარაქიან კვალს ტოვებს, როგორც ჩემი ბავშვობის მეგობარი, უღალატო კაცი ბატონი საშა (ალექსანდრე) არჩაია. სწორედ მასზე მინდა გესაუბროთ. ასეთები ჩვენს მუნიციპალიტეტში არც ისე ცოტაა, თუმცა მათ შორის გამორჩეულად ერთია. ბევრი, ძალზე ბევრია სასაუბრო მის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, თუმცა აქ მხოლოდ ძირითადზე შევჩერდები. ბატონი საშა, როგორც პედაგოგი, ახალი თაობის აღმზრდელი, მთელი თავისი აქტიური ცხოვრებით ამ საქმეს ემსახურება და ახლა, როცა ახლოვდება მისი ცხოვრების დაისი, იგი ახალი შემართებით ახალ საქმეს შეუდგა.

წლები, მარტო ასაკი და ხანდაზმულობა როდია, წლები დიდი განძი და სიმდიდრეა ადამიანისთვის, წლები სიბრძნე და გამოცდილებაა, წლები მეტი გონიერება, წინდახედულება და მეტი ზომიერებაცაა.

სწორედ ამ გონიერი კაცისგან ყოველთვის ახალ-ახალ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ. ეს იქნება ახალი გამოცემული წიგნების სახით თუ ცოცხალი ვერბალური მეტყველებით.

ამ რამდენიმე დღის წინ, ბატონმა საშა არჩაიამ, პროფესიონალურ აუდიტორიას პრეზენტაციაზე წარუდგინა ბრწყინვალე წიგნი მათემატიკაში და ეს ჩვენს მუნიციპალიტეტში პირველად ხდება, როცა მასწავლებელი თავის ნაშრომზე მაღალ შეფასებას იმსახურებს.

აღნიშნული წიგნი–„ყველაფერი ათწილადებზე და პროცენტებზე“ დიდად წაადგება, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებსა და დაინტერესებულ მკითხველს. საშამ, როგორც გამოცდილმა პროფესიონალმა პრაქტიკოსმა თავი წარმატებით გაართვა თავის ნაფიქრალს. ვინც ბატონ საშას იცნობს, იცის რომ ეს სიტყვები იაფფასიანი პოპულარობისთვის, არც არვის მოსაწონებლად და არც მის დამამშვენებელ სამკაულად არ თქმულა, ეს უბრალოდ იმ ადამიანის ცხოვრების პრინციპია, რომელიც ყოველთვის იქ არის, სადაც ჭირდებათ.

ბატონო საშა! თანაკლასელები გილოცავთ ამ დიდ წარმატებას. იმედია, კიდევ ბევრჯერ გაგვახარებთ!

***თანაკლასელების სახელით გურამ კვიკვინია,*** *ფსიქოლოგიის აკადემიკოსი, დოქტორი.*

ახალი გამოცემა




P.S. ***ვსარგებლობთ შემთხვევით და ბატონ საშას ვულოცავთ შვილიშვილის ლუკა არჩაიას დაბადებას. გაზრდილიყოს ბაბუის დარი სახელო ვაჟკაცი.***

ჩემი მოსწავლეყოფილი ალექსანდრე (საშა) არჩაია ხობის მუნიციპალიტეტისთვის ცნობილია, როგორც მათემატიკის კარგი მასწავლებელი და სკოლის კარგი ხელმძღვანელი ხობის მეორე საშუალო სკოლის, ხობის სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორი მან ყველგან მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების დიდი სიყვარული დაიმსახურა.

საშას სხვადასხვა დროს აღმასრულებელ ორგანოებშიც უმუშავნია და არც ისე ცუდად.

ძალიან გამიხარდა როცა გამოვიდა მისი წიგნი „ყველაფერი ათწილადებზე და პროცენტებზე (ზოგადი უნარები)“, ეს წიგნი ნებისმიერი განათლებული ადამიანისთვის სასარგებლო და სიკეთის მომტანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მე ამ წიგნმა ბევრი რამ გამახსენა და ახალიც შემძინა.

ავტორს წიგნისთვის წარუმძღვარებია ცნობილი მეცნიერის გაუსის სიტყვები: „მათემატიკა მეცნიერებათა მეფეა, ხოლო არითმეტიკა მისი დედოფალი.“

ყოჩაღ საშა! ეს ერთი და სხვა მრავალი.

***შალვა ხარებავა, რესპუბლიკის დამსახურებული მაწავლებელი, ღირსების ორდენოსანი.***

# აღმზრდელი და მისი 35-ე გამოშვება

პედაგოგიკაში, სკოლამდელი ასაკი განიხილება პერიოდად, რომლის დროსაც ბავშვი ფიზიკურად, ინტელექტუალურად და პიროვნულად ვითარდება, „მწიფდება“ და აღწევს სკოლისთვის მზაობის დონეს.

როცა ხობის №2 ბაგა-ბაღის გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელთა მშობლებმა მითხრეს, ნატო აღმზრდელზე დამეწერა საგაზეთო წერილი, უეცრად გონებაში მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები წარმოვიდგინე, სააღმზრდელო აქტივობებით, ვინაიდან სკოლამდელი ასაკის წამყვანი ქცევა თამაშია, სწორედ თამაშის საშუალებით იქმნება და ვითარდება ბავშვის ფსიქიკა. როგორც დიმიტრი უზნაძე წერდა თავის განწყობის თეორიაში: „(4-6) წლამდე სკოლის წინარე ასაკის ბავშვი მიჰყავთ საბავშვო ბაღში, სადაც ხდება მისი ცხოვრების პედაგოგიურ მოთხოვნათა საფუძველზე ორგანიზება. ბავშვი ეჩვევა და სწავლობს თავის თანატოლებთან ურთიერთობასა და თამაშს, მასზე უკვე აღმზრდელები ზრუნავენ, სწორედ თამაშის საშუალებით იქმნება და ვითარდება ბავშვის ფსიქიკა, ამაში კი უდიდესი როლის შესრულება აღმზრდელს ეკისრება, რათა ბავშვი მოამზადოს სკოლისთვის.

ნატო ხურცია-ცხადაიას სახელი ხობის №2 ბაგა-ბაღიდან ყველასთვის ცნობილია, როგორც საუკეთესო აღმზრდელი. ის ამ სახელის ღირსეული და ავტორიტეტული მატარებელია.

თავის დროზე დიდი ილია აღნიშნავდა: „აღმზრდელებად ვერ იქმნებიან, არამედ ისეთებად იბადებიან, მათი რიცხვი საზოგადოებაში ძალიან მცირეა.“ სწორედ საზოგადოების იმ მცირე ნაწილს მიეკუთვნება იგი.



დღესაც ნათლად მახსოვს ქალბატონი ნატოს დედა–ცხონებული ვენერა ხურცია, ის ჩემი პირველი აღმზრდელი გახლდათ, რომელსაც დღემდე დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ვიგონებ. არ შეიძლებოდა ისეთი დედის შვილი, სულიერად ზედაპირული ყოფილიყო, ის უღალატო და სუფთაა თავის საქმეში, დაუღალავი, უსაზღვროდ უყვარს პატარა აღსაზრდელები და თავისი საქმე, ასე მითხრა: „რაც არ უნდა ცუდი განწყობით მივდიოდე ბაღში, ეზოში შესვლაც საკმარისია და გარე სამყარო მავიწყდებაო“. ყოველ წუთს ცდილობს მათგან გამოძერწოს უნიკალური პიროვნებები, ფაქიზად ესათუთება მათ მგრძნობიარე სამყაროს, აჩვევს ანალიტიკურ, ფაქიზად დახვეწილ, გამართულ მეტყველებას, იყენებს მარიამ მონტენსორის მეთოდებს. აქტივობებში ბავშვებიდან გამოიკვეთება მრავალმხრივი ინტელექტუალური მხარეები. ჯერ კიდევ, როცა ნოჯიხევის საჯარო სკოლაში დირექტორის მოადგილედ მუშაობდა აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ქალბატონ ნატოს აღმზრდელის მიერ გამოშვებული არაერთ კლასში გვყოლია მოსწავლეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ, ინდივიდუალურობით, ესთეტიკური გემოვნებით, დახვეწილი მეტყველებით, მოსმენის მაღალი კულტურით, ტაქტიანობით, რასაც სკოლის ცხოვრებაში ხშირად აღვნიშნავდით. ის ყველგან და ყოველთვის ზრდის და აყალიბებს მოზარდის ორიენტაციას. აკვირდება მათ ასაკობრივ ცვლილებებს კრიზისულ პერიოდებს, ზრდასთან დამოკიდებულებაში ცდილობს, ბოლომდე მასთან გაიარონ სენსომოტორული სტადიიდან, წინაოპერაციული სტადიამდე.

ქალბატონმა ნატომ თავისი მუშაობის პერიოდში ბევრი მოზარდი განსაკუთრებულად კი ნოდარ კარტოზია, რომელიც მეოთხე კლასშია. ახლა კი გოგი ბუკია, წლევანდელი გამოშვების მოვლენაა. თავისი ნიჭიერებითა და მჭერმეტყველებით, მიუხედავად პატარა ასაკისა, ის საუცხოო აზროვნების ბავშვია.

წლევანდელი 35-ე გამოშვების საერთო დონე საუკეთესოა. ისინი აკმაყოფილებდნენ თანამედროვე სტანდარტის ყველა მოთხოვნებს, მათ ყოველდღიურობას ნატო აღმზრდელი ხალისიანად წარმართავდა, ის ცოცხლობს იმით, რა სიახლეებსაც მათში ხედავს.

ამერიკელი მეცნიერები ბევრი კვლევის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „კარგი სკოლამდელი აღზრდა, მომავალში კარგი პროფესიონალური ცოდნის საწინდარია.“

სკოლამდელი აღზრდა-განათლება განსხვავდება სასკოლო გაკვეთილებისგან. მისი მიზანი ბავშვისთვის მხოლოდ გარკვეული ცოდნის მიწოდება კი არა, პირველ რიგში ბავშვის ფსიქიკური პროცესების აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, მეტყველებისა და პიროვნული თვისებების განვითარების ხელშეწყობაა, როგორც პედაგოგი, დაუშრეტელია, ამოუწურავია, ცხოვრობს სულიერი ცხოვრებით, რომელსაც სიღრმისმიერად გადასცემს ნორჩ თაობებს.

ქალბატონმა ნატომ აღნიშნა: „ჩვენი ბაღის მენეჯერი ნარგიზა ტუღუში და მე ფაქტიურად დაარსებიდან ერთად მოვდივართ, ის ჩემი უახლოესი მეგობარია, მისი დახვეწილი გემოვნების და შემოქმედებითი ნიჭის საწინდარია, რომ ბაღი დღემდე ღირსეული სახელით სარგებლობს, გვერდში გვიდგას მთელი კოლექტივი, თავიანთი მაღალკვალიფიციური დონით და კომპეტენტური თანაშემწეობით. ესენია: მანანა უბილავა, ნათია ჭურღულია, მუსიკის მასწავლებელი დარეჯან საბეკია და სხვები.



საზეიმო საგამოშვებო ღონისძიება დაგეგმილი ჰქონდათ წლის მანძილზე გათვლილი აქტივობებისგან. ჩანდა მათი ინტელექტი იმ დავალებების ირგვლივ, რასაც ისინი დამოუკიდებლად ასრულებდნენ ცენტრებში, გამოაჩინეს საკუთარი თავი ყველა კუთხით: არითმეტიკული, ანბანური ცოდნით, ხელოვნების სხვა და სხვა სახეობებში, შეღწევით, ხატვით, ცეკვით, სიმღერით, სწორი მეტყველებით, რამაც საბოლოოდ პროექტის სახე მიიღო, ბავშვების შემოქმედებით ყველა კმაყოფილი ჩანდა, როგორც მშობლები, ისე აღმზრდელები და მოწვეული სტუმრებიც.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი აღმზრდელები ჩვენი მომავალი თაობების აღმზრდელად, განმავითარებლად. მე მჯერა იმ ახალგაზრდების, რომლებიც არანაკლებ ცნობილები გახდებიან, თუ მთელი რუდუნებით მოეკიდებიან ამ საქმეს ისე, როგორც ქალბატონი ნატო, რათა აღიზარდონ ის თაობები, რომლებიც ასე სჭირდება ხვალის საქართველოს.

და ბოლოს, ნატო აღმზრდელს, მთელ მის კოლექტივს ვუსურვებ ჯანის სიმრთელეს, წარმატებებს, კიდევ აღეზარდოთ ბევრი ნიჭიერი თაობა.

უფალმა გაახაროს და გააძლიეროს...

***ლალი ჭედია***

# აფხაზეთი–ტკივილი ჩვენი!

***ამასწინათ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ სააქტო დარბაზში ჩატარდა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის ბატონ სერგო წურწუმიას დოკუმენტური დეტექტივის „ოპერაცია გრიფონის“ პრეზენტაცია.***

***ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრის, საერო-სამეცნიერო აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრის, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსის ქალბატონ მერი აბრამიას სტატიას ამ წიგნსა და მის ავტორზე.***

ახლახან გამოვიდა გენერალ-ლეიტენანტის ბატონი სერგო წურწუმიას დოკუმენტური დეტექტივი „ოპერაცია გრიფონი.“ ეს წიგნი საქართველოს დიდი ისტორიის ერთი ფურცელია–ტრაგიკული, დრამატული, სისხლიანი და ცრემლიანი ფურცელი–წერს წიგნის წინასიტყვაობაში რედაქტორი, პროფესორი კლიმენტი შელია.

მე ამ წიგნს „სათავგადასავლო–დოკუმენტურ დეტექტივს“ დავარქმევდი, რადგან წიგნის მთავარი მოქმედი გმირი თავად ავტორი გახლავთ. სწორედ მის მხრებზე გადავიდა მთელი სიმძიმე იმ მოსალოდნელი ტრაგედიისა, რომელიც აღკვეთილიქნა ბატონი სერგო წურწუმიასა და მისი აფხაზი მეგობრების მაღალი პროფესიონალიზმის, გონიერების, ქვეყნის სიყვარულის შედეგად.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ანდრეი ბობუა და ამავე სამმართველოს განყოფილების გამგე სერგო წურწუმია აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ პოლკოვნიკმა ვლადიმერ ჯოპუამ სასწრაფოდ გამოიძახა თავის კაბინეტში და საიდუმლო გრიფდადებული საქართველოს უშიშროების წერილი მაგიდაზე დაუდო. პოლკოვნიკმა სწრაფად წაიკითხა წერილი და მისი შინაარსით თავზარდაცემულმა, მაიორს გადასცა, ინფორმაცია შოკისმომგვრელი გახლდათ. მაიორი გაკვირვებული იყო „რაში და ვის უნდა აინტერესებდეს ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის თავიდან მოშორება? გონიერმა კაცმა თავადვე გასცა პასუხი „ვიღაცეებს დიდი არეულობის დაწყება სურთ. ეს ვიღაც კარგად და მკაცრად კონსპირირებული ჯგუფია, ცენტრი, ანუ არალეგარული ორგანიზაცია, ჩრდილო კავკასიაში უნდა იყოს. „პოლკოვნიკებმა მისი წინადადება ყურადსაღებად ჩათვალეს, მაიორმა სერგო წურწუმიამ ეჭვი გამოთქვა, რომ შეთქმულებაში შეიძლება ჩართული ყოფილიყვნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები „უცებ შევწყვიტე აზრის გამოთქმა, სიგარეტი საფერფლეში ჩავსრისე. მოსაზრების გამოთქმა მიძნელდებოდა. ჩემი შეფები დიდებული პიროვნებები იყვნენ,“–იგონებს ბატონი სერგო.

„გულანთებულნი, ობიექტურნი, ქვეყნისა და ხალხის ერთგულნი და ორივე–აფხაზი. არ მინდოდა ამ ადამიანთა ღირსების შელახვა, ვშიშობდი, არ მიეღოთ ისე, თითქოს მათი ჭეშმარიტი ქართული მენტალიტეტისთვის რაიმე ჩირქის მოცხებას ვაპირებდი, სწორედ ეს შიში მბორკავდა, მოსაზრების ბოლომდე გამოთქმის საშუალებას არ მაძლევდა.“

მაგრამ გონებამახვილი და ფხიზელი აზროვნების კაცი, მინისტრის პირველი მოადგილე ვლადიმერ ჯოპუა მიუხვდა მაიორ წურწუმიას და... „მაიორო, უკუდგომის დრო არ გვაქვს, დაამთავრე სათქმელიო!“ მკაცრად მიმართა მას.

სერგო წურწუმიას გზა გაეხსნა და დაამთავრა კიდეც სათქმელი. „საუბედუროდ, ამ საქმეში შეიძლება ჩართული იყვნენ ჩვენები, ადგილობრივები, მხედველობაში მაქვს აფხაზური წარმომავლობის ხალხი... ისინი, რომელთაც აფსუებმა, ათასი ჯურის ხიზნებმა თუ გადამთიელ მანქურთებმა გონება მოუწამლეს, ვიღაცას ხელს აძლევს ქვეყანაში არეულობისა და შფოთის ჩამოგდება, ვიღაცას მდინარის ამღვრევა, ვიღაცას კიდევ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა“.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ფაქტს, რითაც აშკარად გამოჩნდა ბატონი სერგო წურწუმიას, შს სამინისტროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა თანამშრომლის, უტყუარი ალღო, ჩასწვდომოდა ამ მუხანათური განზრახვის შემმუშავებელთა აზრს და პირუთვნელად მოეხსენებინა ამის შესახებ თანამდებობით მასზე დიდი ჩინის ადამიანებისთვის, მიუხედავად მათი ეროვნულობისა, ისინი ხომ სწორედ იმ ხალხის წარმომადგენლები იყვნენ, ვისაც აშკარად ბრალს სდებდა ქართველი წურწუმია.

ორივე აფხაზი პოლკოვნიკი მიხვდა, რომ მაიორი მართალი იყო.–„მაიორმა წურწუმიამ სივრცე გაგვიხსნა და ვთვლი, რომ, მასში მოქმედების უფლებაც და უშუალო ხელმძღვანელობაც მას უნდა მივცეთ. მეთანხმებით თუ არა?“–მინისტრის მოადგილის ამ წინადადებას დასტური მისცა სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა ბობუამ „სრულებით გეთანხმებით, ბატონო ვლადიმერ, მასზე უკეთ ამ საქმეს ვერავინ გაართმევსო თავს“, შეთანხმდნენ, მიუხედავად მისი წინაალმდეგობისა, მაიორი სერგო წურწუმია, ამ მეტად სერიოზული საქმის გამოძიების თავკაცი გახდა. მინდა სიამოვნებით მოგახსენოთ, რომ სერგო წურწუმიამ წარმატებით შეასრულა დაკისრებული დავალება.

ვინ არის სერგო წურწუმია? აი, რას ამბობს ამის შესახებ თავად ბატონი სერგო:

„მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მიმსახურია–დაწყებული უმცროსი ოფიცრის წოდებიდან, დამთავრებული უმაღლესი ოფიცრის ჩინით. ამჟამად ვარ თადარიგის გენერალი, აფხაზეთიდან დევნილი, ვცხოვრობ ქ. თბილისში. მყავს მეუღლე, ვაჟიშვილი, ქალიშვილი და შვილიშვილები. უფროსი ვაჟიშვილი, ჯამბულ სერგოს ძე წურწუმია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დამეღუპა. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით იქნა დაჯილდოებული. თუმცა, ეს ბიოგრაფია სავსე იყო უამრავი სადაგი დღით, ტკივილით, სიამით, სიმშვიდით და შფოთვით, რას ვიზამთ, ასეთია მიწიერი ცხოვრება კაცისა...

განა არ მქონია ბედნიერების წუთები, მაგრამ ეს უმნიშვნელო იყო, სიმართლე გითხრათ, მთელი ჩემი სიცოცხლე ტკივილთა ოკეანე გახლდათ. თავს იმით ვინუგეშებ და ვიიმედებ, რომ კაცობა ტკივილიანია. ასეთ დროს ვიხსენებ ბრძენის გამონათქვამს: ვინც საკუთარი ტკივილისგან განიკურნა, თავიც დაკარგაო. ეს მწარე სიმართლეა და მართლაც, „ვისაც სული არ სტკენია, ის უსულოა“. ადამიანში მაინც მძლავრობს სიცოცხლის იმპულსი. ამ იმპულს რწმენა ქმნის და რწმენა ავსებს მუხტით!.

დიახ, ასეთია ამ მებრძოლი და გონიერი კაცის ცხოვრების ფილოსოფიური კრედო. საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელებმა ბატონმა სერგო წურწუმიამ ათკაციანი ჯგუფი შექმნა და შეადგინა მოქმედების გეგმა, იგი მოიწონა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და შემდგომ, საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა, ამ გეგმას დასტური მისცა საბჭოთა კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმაც. ჯგუფში შევიდნენ კვალიფიციური, გონებამახვილი, მამაცი და პატრიოტი ადამიანები: 5 აფხაზი და 5 ქართველი, მათ შორის ერთი აფხაზი ქალბატონი.

სამი თვე მუშაობდა მაიორ წურწუმიას ჯგუფი, მაგრამ არც შეთქმულებს ეძინათ. მიტროპოლიტის სახლის წინ გამოჩნდა მათხოვარი, რომელმაც ეჭვი დაბადა პატრიოტთა ჯგუფში. ჩქარა დადგინდა, რომ ის შეთქმულთაგანი იყო, რომელსაც მარცხენა ხელის მტევნის ზურგზე განსაკუთრებული ნიშანი ჰქონდა, მაიორმა წურწუმიამ ჯგუფის წევრის ქალბატონ ამიჩბას დახმარებით დააფიქსირა ნიშნის გამოსახულება–არწივის ნისკარტი, ლომის ტანი, თავზე პატარა რქები, წინა თათები წინ გაშვერილი, უკანა მოკეცილი–რას ნიშნავდა ეს? ალბათ სხვა შეთქმულთაც ეს ნიშანი ექნებოდათ, ეს მათი პაროლიაო,– იფიქრა მაიორმა. მან თავისი თანამებრძოლის რომან ზარანდიას დახმარებით დაადგინა, რომ ნიშანს ერქვა „გრიფონი“, მას „ზევსის ძაღლებსაც“ ეძახდნენ ბერძნები და ნიშნავდა „საიდუმლოს ბოლომდე დავიცავ“! სწორედ ამიტომ დაერქვა ამ წიგნს „ოპერაცია გრიფონი“.

# „გ რ ი ფ ო ნ ი“

## (აფხაზებისა და ქართველების ერთობლივი ოპერაცია)

სერგო წურწუმიას ჯგუფმა გათვალა: შეთქმულები ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას შეეცდებოდნენ გიორგობის დღესასწაულზე, რომელიც წმინდა გიორგის სახელობის ილორის ეკლესიასა და მის შემოგარენში ტარდებოდა ხოლმე.

მეორე დღეს ჯგუფის წევრთა ათკაციანი სია მინისტრის პირველ მოადგილეს წარუდგინეს, მცირეოდენი განმარტებების შემდეგ ჯგუფის შემადგენლობა დამტკიცდა. უშიშროების სამინისტრომ უზრუნველყო ისინი საჭირო ინვენტარითა და სხვა აუცილებელი ატრიბუტით. ახლოვდებოდა საეკლესიო დღესასწაული „გიორგობა“ ჯგუფის ათივე წევრს განუმარტეს, ვის რა დავალება უნდა შეესრულებინა ამ დღეს, მანამდე კი მათ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა ჰყოლოდათ მათხოვარი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე მოკალათდა ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის საცხოვრებელი სახლის წინ და მათხოვრის ამპლუაში შეუდგა „მოღვაწეობას“. მასზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა განეხორციელებინა ახალგაზრდა ქვრივს, აელიტა ამიჩბას. ეს ქალბატონი მიტროპოლიტის სახლის წინ ცხოვრობდა ორ შვილთან ერთად. მას დაევალა დაეფიქსირებინა „მათხოვართან“ მისული თითოეული ადამიანის ყველა მოქმედება და მაიორ წურწუმიასთვის დაუყონებლივ გადაეცა ინფორმაცია. დანარჩენ ცხრა მამაკაცზე, ილორის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია გადანაწილდა, იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი საეჭვო პირი შეუმჩნეველი „არც ერთი კვადრატი საკონტროლო ტერიტორიისა თვალყურის გარეშე არ დარჩენილიყო.“

ახლოვდებოდა ილორობა, სავარაუდო დრო, წარმოუდგენლად მძიმე დანაშაულის ჩადენისა. პარალელურ რეჟიმში დიდი სამზადისი მიმდინარეობდა. „გიორგობის“ დღესასწაულის ზარზეიმით ჩასატარებლად. მაიორ წურწუმიას ჯგუფმა ზეიმისწინა რამდენიმე ღამე თეთრად გაათენა. წინასწარ მონიშნულ ადგილებზე გადაყვანილიქნენ აგენტები და თანამშრომლები, ყველა მათგანს ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი, მიუჩინეს თავ–თავისი თვალსადევნი, სამზერი და საზვერი სექტორი, დაევალათ ტერორისტთა ცოცხლად აყვანა, უკიდურეს შემთხვევაში ადგილზევე განადგურება. ყველაფერი ეს უხმაუროდ, სხვათათვის შეუმჩნევლად უნდა მომხდარიყო. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ჩატარებულიყო საჰაერო–სადაზვერვო ღონისძიებანი.

გათენდა ეს დღეც. დილის რვა საათისთვის ტაძარს უამრავი ადამიანი მოაწყდა. მრევლის სიმრავლემ საქმე გაართულა, მაგრამ დანაშაულის აღმკვეთი ჯგუფის თითოეული წევრი სიცოცხლის რისკის ფასად იდგა მისთვის განკუთვნილ ადგილზე და ბოლომდე ასრულებდა ჯგუფის ხელმძღვანელის ბრძანებას. აქვე იდგნენ პოლკოვნიკი ბობუა–სამმართველოს უფროსი და თვითონ მაიორი სერგო წურწუმია, აფხაზეთის შს მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ჯოპუა და საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელი ყოველ ხუთ წუთში კავშირზე გამოდიოდნენ. ჯგუფის ყველა წევრი მუშაობდა ბრძანების ზუსტად შესასრულებლად, ინსტრუქციის შესაბამისად. სათვალთვალო ადგილებიდან ინფორმაციის შემოსვლა დაიწყო „აყვანილია ორი ტერორისტი,“ „ავიყვანეთ ერთი ტერორისტი“, „ლიკვიდირებულია ერთი ტერორისტი“, „აყვანილია ორი ტერორისტი“. ჯგუფის წევრთა სასახელოდ უნდა ითქვას, წარმოუდგენლად სწრაფად ყველა მათგანი აყვანილიქნა, პირადად მაიორმა წურწუმიამ უვნებელყო ქილერთა მეთაური, პოლკოვნიკმა ბობუამ და ჯგუფის ხელმძღვანელმა მაიორმა წურწუმიამ უშიშროების გენერალს და მინისტრის მოადგილეს ოპერაციის დამთავრება უპატაკეს, თანამშრომლებსა და აგენტებს კი ებრძანათ ბობუას კაბინეტში თავშეყრა.

ოპერაცია „გრიფონი“ დამთავრებული იყო.

ასე ბრწყინვალედ შეასრულა დავალება ბატონმა სერგო წურწუმიას ჯგუფმა–პატრიოტმა აფხაზმა და ქართველმა სამართალდამცველებმა.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ბატონი სერგოს პიროვნული თვისებები. ეს ვერცხლისწყალივით მოუსვენარი და ქვეყნის სამსახურში ყელამდე ჩაფლული ადამიანი, სანიმუშო მეოჯახეა. ძნელად თუ მოიპოვება მამაკაცი, რომელიც ასეთი გულისხმიერი იყოს, შეეძლოს ნებისმიერ მძიმე მდგომარეობაში მყოფს, ფიქრი და ზრუნვა თანამეცხედრეზე. ასეა ახალგაზრდობიდან დღემდე.

როცა ოპერაცია „გრიფონის“ სპეციალურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა და ხშირად ღამის 3–4 საათამდე რჩებოდა საკონტროლო ტერიტორიაზე, იგი პოულობდა დროს გაეფრთხილებინა მეუღლე: სითბო და სიყვარული არ მოეკლო მისთვის. შვილებსაც წესსა და რიგს ასწავლიდა, ქვეყნის სიყვარულით ზრდიდა. მთელმა ქვეყანამ იცის ბატონი სერგოს უფროსი ვაჟის, პოეტისა და ჯარისკაცის ჯამბულ წურწუმიას გმირული სიკვდილის შესახებ. აი, რას წერს აწ გარდაცვლილი ქალბატონი იზოლდა შენგელია–წურწუმიასი თავის ნაშრომში, „მაიორის უკანასკნელი დღეები“, რომელიც ჯამბულ წურწუმიას ეძღვნება. „1993 წლის თხუთმეტ სექტემბერს მეხუთე ბატალიონმა დაგეგმილი ოპერაციის განხორციელება დაიწყო. იერიში კოდორის და რკინიგზის ხიდის მიმართულებით წარმოებდა, მაგრამ წინ ვერ წაიწია. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები თავგანწირვით იბრძოდნენ, მტერი მსხვილკალიბრიან ჭურვებს უშენდა ქართველ ჯარისკაცებს, მაინც არ ნებდებოდნენ ბიჭები. მრავალ გასროლათა შორის ერთ-ერთ გასროლაზე ის ძირს დაეცა, მოასწრო და ვიღაცას მაინც უთხრა: „ჩვენ დაგვხოცეს, მაგრამ ჩვენც დავხოცეთ, საუბედუროდ, ისინიც ჩვენი ძმები იყვნენო.“ ბოლოს მიჩუმდა და ძლივსგასაგონად ამოიჩურჩულა: „დედა“ ყველაფერი დასრულდა... ხალხი მდუმარედ წუხდა, იმ წუთში ჯამბულ წურწუმია არ იყო მხოლოდ მოკლული ჯარისკაცი, იგი მოკლული საქართველო იყო.

ასეთი იყო ქრისტეს ასაკში მყოფი, საქართველოს გმირის, ჯამბულ წურწუმიას ცხოვრების მოკლე გზა, მან თავისი წილი ჯვარი ვაჟკაცურად ზიდა და თავისი გოლგოთა გაიარა.

ბიჭები ამაყობდნენ სერგოს მამის, ილარიონ ბაბუას ვაჟკაცობით, იგი ტექსელის გმირი იყო და იქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

„წურწუმიებს გენეტიკურად მოსდგამთ გმირობა, ვაჟკაცობა და სამშობლოს სიყვარული. საქვეყნოდაა ცნობილი (წერდა ქალბატონი იზოლდა) გმირი მფრინავის ალექსანდრე წურწუმიას სახელი მეორე მსოფლიო ომში. ასევე თავდადებით იბრძოდა ალექსანდრეს ოთხი ძმა და უფროსი შვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე წურწუმია. „მე გულით ვუძღვნი ამ პატარა წიგნს წურწუმიების გვარს–მის აწ გარდაცვლილ თუ ცოცხალ წარმომადგენლებს, იმათაც ვინც მომავალში ღირსეულად გააგრძელებს გმირთა გამომზრდელ წურწუმიათა ჯიშსა და ჯილაგსო!“

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ ქალბატონო იზოლდა, წურწუმიების ღირსეულო რძალო, ამ დიდებული გვარის ასე წარმოჩინებისთვის. ბატონი სერგოსგან ნებართვის აღების შემდეგ გადავწყვიტე საზოგადოებისთვის გამეცნო ამ ჯენტლმენი და კეთილშობილი მამაკაცის ცხოვრების ერთი დეტალიც. ამ რამდენიმე დღის წინ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტის, „ქართული პოეზიის რაინდის“ ტიტულის მფლობელის, ვაჟა ფშაველას პრემიის ლაურეატის ბატონი ვაჟა ეგრისელის კაბინეტში ბატონ სერგოსთან ვსაუბრობდი. გამაოცა მისმა მრავალმხრივმა განათლებამ. ბატონი სერგო შესანიშნავად იცნობს ანტიკური ხანის ფილოსოფიას, ზეპირად იცის ბევრი ფილოსოფოსის გამონათქვამები.

ერთი ფაქტიც, ბატონი სერგო წურწუმია შესანიშნავად ერკვევა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი თუ არამოქმედი მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრების აშენების პერიოდიზაციაში, იცნობს მღვდელმთავართა მოღვაწეობას.

ბატონ სერგოსთან ჩემი საუბარი ერთ მეტად დელიკატურ საკითხსაც შეეხო.

***ბატონო სერგო, ჩვენ ახლა ისეთ ასაკში ვართ, შეიძლება ერთმანეთს გავუმხილოთ მოგონებები ახალგაზრდობის წლებზე. თქვენნაირ ავტორიტეტულ ახალგაზდრა მამაკაცს თაყვანისმცემელი მანდილოსნებიც გეყოლებოდათ უთუოდ. მართალი ვარ?***

–მართალი ხართ. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდი და მოწესრიგებული ოჯახი მქონდა, მყავდა ერთგული და გვერდში მდგომი მეუღლე, რომელიც ძალიან მიყვარდა, ჩემს ცხოვრებაში იყო ქალი, რომელიც წლების განმავლობაში იდგა ჩემს გვერდით, ზრუნავდა ჩემზე, მშველოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, ჩემი ჯგუფის აქტიური წევრი ამიჩბას გვარისა იყო, აელიტა ერქვა სახელად.

***სად გაიცანით?***

–ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა. ერთხელ ადრე დილით კაბინეტში ახალგაზრდა 22-23 წლის პირმშვენიერი ქალი შემოვიდა, ორსულად იყო. სკამი შევთავაზე, დაჯდა, სახეზე ხელები აიფარა და ტირილი დაიწყო. ქალის ტირილს ვერ ვუძლებ, შევწუხდი. ვკითხე: ქალბატონო, რამ შეგაწუხათ ასე? მითხარით, იქნებ შევძლო დაგეხმაროთ–მეთქი.

გამიკვირდა, რომ ქურდი, რეციდივისტი, რომელიც წუხელ რკინიგზის სადგურზე დააკავეს, აელიტა ამიჩბას მეუღლე იყო. არ შემეძლო არ დავხმა-

>>>>>>>>> 9

8

რებოდი, კაცი გავუშვი ერთი პირობით, რომ იგი დღესვე დატოვებდა აფხაზეთს და არასოდეს არ დაბრუნდებოდა უკან, ასეც მოიქცა, წავიდა როსტოვში. იქ რაღაც საქმის გარჩევისას მოკლეს. დარჩა აელიტა ორი შვილით მარტოდმარტო. მათზე ზრუნვა მე ვიკისრე. თავი დამნაშავედ ჩავთვალე, რაკი მე ვაიძულე დაეტოვებინა ქალაქი.

მაიორმა წურწუმიამ ქვრივი სამსახურში მოაწყო, ბავშვები საბავშვო ბაღში მიაყვანინა, მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. ახალგაზრდა მარტოხელა ქალს თავდავიწყებით შეუყვარდა მზრუნველი მამაკაცი. აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე მაიორმა წურწუმიამ მოახერხა აელიტას ოჯახის მოსკოვში გახიზვნა. რამდენჯერმე ჩააკითხა კიდეც.

ამ ათიოდე წლის წინ აელიტას ქალიშვილმა აცნობა სერგოს–დედა მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში სასიკვდილო სარეცელზე წევს და შენი ნახვა უნდაო. როგორ განვითარდა შემდგომ მოვლენები, სერგო წურწუმიას მოვუსმინოთ!

„მეორე დილასვე გავფრინდი, მაშინვე საავადმყოფოს მივაშურე. პალატაში ქალიშვილი დამხვდა, ატირდა, მკერდში ჩამეკრა. თავადაც ვერ ვერეოდი თავს, საწოლს მივუახლოვდი, დავჩერებოდი უხმო და გარინდულ სახეს, რომელიც ერთნაირად გაცრეცოდა. ნახევრად გახელილ თვალებში უძირო ნისლი ჩასწოლოდა. სადღა იყო ის ხასხასა მოლურჯო-მომწვანო სხივი. არ ტიროდა, მხოლოდ ნამი მოჰკიდებოდა თვალთა სარკეებზე. თხელი, სიფრიფანა ნესტოები ძლივს შესამჩნევად თრთოდა. ტუჩები ერთ დროს სითბოსა და სიტკბოს რომ გასცემდა და ღია მარჯნისფრად ღუოდნენ, ლურჯ იასამნისფრად ჩამუქებოდა, სარეცელს ჩამოვუჯექი. მისი ხელის თეთრი, უმწეო მტევანი ხელში მოვიქციე.

–შენ მოხვედი! უღონოდ ჩურჩულებდა აელიტა,–მეშინოდა, ვაი თუ არ მოსულიყავი. შენი გაცნობიდან ყოველი დღე ეს შიში მკლავდა, მტანჯავდა, მიღრღნიდა გულსა და გონებას. შენ მაინც მოდიოდი, ყოველთვის მოდიოდი... ახლაც მოხვედი,–ნაღვლიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაა სერგო!

–ნუ ამბობ ამას!-ვთქვი ყრუ, ჩახლეჩილი ხმით.

ქალმა სახე მოაბრუნა, ჩემი ხელიდან ხელი გაითავუსუფლა. ნელა, ძალგამოცლილად ასწია და ჩაიჩურჩულა–„სახეზე მინდა მოგეფეროო“–ოდნავ დავიხარე, ლოყაზე მისი სიფრიფანა გრძელი თითები მომელამუნა. თითებიდან ცხედრული სიგრილე შევიგრძენი, მთელი სხეული გამეთოშა, მისი ხელი ლოყიდან მოვიშორე და ტუჩებთან მივიტანე:

–ნუ გეშინია, აელიტა, ყველაფერი...

–ჩუუუუ!–საჩვენებელი თითი ტუჩებზე მომადო ქალმა,–იყუჩე, სიტყვები არაა ყოველთვის საჭირო. დროულად მოხვედი, მინდოდა მეთქვა–მიყვარდი, სიგიჟემდე მიყვარდი, მიყვარდა შენი ხმა, შენი გაცინება, შენი უხეშობაც კი, შენ კი ვერაფერს ხვდებოდი! უშენოდ არ მინდოდა ამ ქვეყნიდან წასვლა, ორი დღეა ვაჩერებ თავსწამომდგარ სიკვდილს. შენც დიდი ტკივილი განიცადე, ჩემო სალოცავო, მე ვიცი შენ დაბრუნდები შენი ვაჟკაცი შვილის საფლავთან. მე ვხედავ, თქვენ აუცილებლად დაბრუნდებით აფხაზეთში, მე მინდა ჩემი შვილებიც დამიბრუნო მშობლიურ ჭერ-ქვეშ, იქ არის მათი ბუდე, ვიცი! ყოველთვის სიტყვის კაცი იყავი, ვიცი, ამისრულებ ამ ბოლო სურვილსაც... მე იქიდან ვილოცებ თქვენთვის. ახლა კი მშვიდობით ჩემო ძვირფასებო, ღმერთო!..

მისი ხელი უღონოდ დაეშვა ჩემს მუხლებზე, თხელი ნესტოები აღარ უთრთოდა, ცრემლის მარცვალი გუგაზე შეჰყინვოდა, სახე მიტკალივით გათეთრებოდა.

მესამე დღეს მოსკოვის ერთ-ერთ სასაფლაოზე გავუთხარე საფლავი.

მართალი გითხრათ, შემძრა ამ ჯენლტმენი მამაკაცის გულწრფელმა აღსარებამ. მაპატიონ მამაკაცებმა, ყველა მათგანს, ალბათ, არ შეუძლია ამდაგვარი ხარკი გაიღოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა გვირგვინის–ქალისა და მამაკაცის სიყვარულის დასაფასებლად.

ბატონო სერგო, აფერუმ თქვენს პროფესიონალიზმს, თქვენს გონებამახვილობას, ქვეყნისთვის თქვენს თავდადებას, სიყვარულის თქვენებურ ნიჭს. ეს თქვენ, აფხაზ მეგობრებთან ერთად, უზრუნველყავით საუკუნის ტრაგედიის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ლიკვიდაციის ალკვეთა. ის მიტროპოლიტი დღეს ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქია, ქვეყნის იმედი, სინდის-ნამუსი, მწყემსმთავარი, მართლმადიდებელი ქრისტიანი მრევლისა.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემი და აწ გარდაცვლილი ჩემი მეუღლის 13 შთამომავალთაგანი ათი თქვენი გვარისანი არიან.

უფალმა გაამრავლოს და გააძლიეროს საქართველო და ქართველი ერი, „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“

# უფალი, უფალი, უფალი დიდია...



ლალი ჭედია–ინჟინერ პედაგოგი. დაამთავრა კალინინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისში პედაგოგიური უნივერსიტეტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 22 წელი ნოჯიხევის საჯარო სკოლაში პედაგოგად იმუშავა. იყო დირექტორის მოადგილე, შემდეგ ბაღების გაერთიანებაში მეთოდისტი. ამჟამად უმუშევარია.

ლექსებს ბავშვობიდან წერს, იგი ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარია. ამჟამადაც ხელხვავიანი მობრძანდა, ახალი ლექსების „დასტა“ მოგვიტანა.

ლექსებში ხედავს ჩვენი ქვეყნის მომავალს, ხობის წმინდა სამების სახელობის ეკლესიის მრევლია. კარგა ხანია მან თავისი ყოფა ეკლესიურ ცხოვრებას დაუკავშირა.

ვბეჭდავთ ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის უცნობ ლექსებს, იმის იმედით, რომ ლალი ჭედიას ლექსები მათ სულიერ სიმშვიდეს შემატებს.

ავტორს კი მკითხველთა მხარდაჭერას, ადამიანებთან ურთიერთობების სილამაზეს, სილაღეს და ახალი კრებულის გამოცემის შესაძლებლობას ვუსურვებთ.

## სვეტიცხოვლის საუფლო კვართი...

სვეტიცხოვლის საუფლო კვართი,
დიდი იმედი წინაპრის კვალი,
რჯულის სიწმინდე, ზეგარდმო ძალით,
მირონცხებული სვეტობის ხატით.
სვეტიცხოვლის საუფლო კვართი,
ღვთისგან აღვსილი მიწით ზეცამდე,
ჩვენი იმედი და მომავალი
შიგ ჩადებული უფლის მოსვლამდე.
გზა უკვდავ ყოფის ქორონიკონთა,
ფოლიანტელთა ძველი ფურცლები,
მზის დასაბამი ოქრო ცურვილი,
სვეტიცხოველი წმინდა წყურვილი.
მნათობთა შუქრა თვალისმომჭრელი,
ეს სალოცავი მაცხოვრის კვართი,
ღვთისმშობლის მადლით და ნინოს
ჯვარით,
წმინდა მამათა ძვალშესალაგი.
აი, რით ცოცხლობს ყველა ქართველი,
აი, რით ხარობს სვეტიცხოველი,
აი, სად დგება მზის ასავალი,
ჩვენი წარსული და მომავალი.

## ფიქრი

ჩემი სიცოცხლე ხარ, ჩემი მონატრება,
ჩემი მდუმარება, წლები გაქცეული.
სულის სინათლეა, მხოლოდ ჩემი
ღმერთი,
უტყვი მოგონება, ენა წართმეული.
ჩემთვის სალოცავი წმინდა ხატება
ხარ,
როგორც არასოდეს სიტყვა არეული...
გული უმოძრაოდ უფლით ავსებული,
ფიქრი უტყუარი, აზრი გაფანტული.

## ქრისტე ჭეშმარიტად...

უფლის საგალობელს მადლი ეფინება,
ზეცას აცისკროვნებს ცვარი სამარაგო,
მიწას ეგზავნება შუქი საარაკო,
კვებავს, ის აცოცხლებს ბალახს
საამაგოდ.
ყელი ეღერება ირგვლივ მწვანე
მდელოს,
მას უსათუთებს ცისკარს
სამლოცველო,
როგორც ეგებება ჩრდილობს
ყვავილოვანს,
ისე განახლდება სული სამზიანოდ.
ბეთლემს ვარსკვლავები ისევ
დაჰხარიან,
როგორ ემზადება მრევლი საზიაროდ,
ერი ნუგეშდება ხვალის სიდიადით,
ქრისტე ჭეშმარიტად, ჩვენთვის
აღმდგარაო.

## უფალი, უფალი, უფალი დიდია...

ეს მეტად საოცრად ლამაზი ნიჭია,
ხატავენ, უკრავენ, მღერიან და ქმნიან,
ეს ზეცის, ხატულა ფერების სიმია,
სიცოცხლის საწყისი და სულის რიტმია.
ყვავილთა უჭკნობი სურნელთა
ფიფქია,
განცდაა სიზმარში ჩაღვრილი ფიქრია,
საამო გალობის ჩიტების ჰიმნია
და კალმით შექმნილი ლექსების
რითმია.
ეს გრძნობა ყველაზე, ყველაზე დიდია...
ხმელეთზე, ჰაერზე და წყალზე მეფეა,
უშრეტი სიცოცხლით სინათლის სხივია,
უფალი, უფალი, უფალი დიდია...

## ქვეყნიურ ბურუსში...

ქარს მიაქვს სიცოცხლე იმ გზაზე,
სადაც წარსულის ნისლები დაცურავს,
სადაც ღამის აჩრდილს ყურად ჩაეძინა,
სადაც ცრემლიანი ტირიფი დაურგავთ.
ეგების ფიქრების სარეცელს დაეძებ
ან ზეცად აწვერილ ალვებზე დადიხარ,
მოლოდინს შექსპირის სონატებს
უთავსებ,
სიცოცხლეს ასხივებ სულეთის
მედარად.
აქ, სულ ხმაურობენ ცოდვების
ურმულში,
ეძებენ სინათლეს გვირაბის ბოლოში,
დადიან, ცვივიან პირღია უფსკრულში,
უფლის გზას ვერ გრძნობენ, ქვეყნიურ
ბურუსში.

## თქვენ!

*(ვუძღვნი მამა ისააკ დადუას!)*

თქვენ სიწმინდე ხართ, მამაო
ჩვენთვის,
უსაზღვრო ღელვა, ფიქრის მოთმენის,
წმინდა წყარო ხართ და ცრემლი
ზეცის,
სიცოცხლე ხართ და სიმშვიდე გშვენით.
თქვენ უბრალო ხართ, წმინდა ხართ,
გესმით,
ღვთაება ჰქვია თქვენ სახელს
ჩემთვის,
უანგარობით ღვთის მადლი
გეფრქვიათ,
თქვენი გონება სიტყვაა ღმერთის.

## დარდმა წამიღოს...

დარდმა წამიღოს ციალმა, ფერი მიცვალოს ნიავმა,
ოღონდ სინათლე ვიხილო, ის მომეფინოს მთლიანად,
დაგვიანებულ მგზავრივით დავალ ამ მიწის იარად,
სული მტკიოდეს, მტანჯავდეს, ბურუსი მდევდეს
ცალად.
მნათობნი ამა სოფლისა, იმედს მაძლევდეს
ფხიანად,
უბრალო სიტყვით მითხარი, ჩემი გჯეროდეს
მთლიანად,
ცრემლებდამშრალი თვალები, ვერ გიყურებენ
მზიანად,
რადგან სულ აღარ შეცვლილხარ, სიტყვა დატოვე
პიარად.

## ქართულო ვაზო!

(საგალობელი)

აქარგულო, ჩაქარგულო, მთების ტრფობით დაკვანძულო,
მარად შლილო, დახუნძლულო, სინატიფის ნორჩო შვილო,
წყაროვ, სიბრძნის კლდიდან ვლილო, სათნოებით დამარწყულულო,
ქართულ სულის ჩამდგმელო და ნოეს მოდგმის ტკბილო ხილო.
ღვთის დიდებით მადლიანო, ქართველების საგანძურო,
მშობლიური ენის სითბო გულში როგორ ჩაგივლინო,
შენს მტევნებში ჩასულო და ხარისთვალას ტკბილო ღვინო,
უფლის მადლით დაწურულო მათრობლად მოვლენილო.
სხვა სიტურფის მომგვრელო და ზე ნათებით შემკობილო,
ჩემი ნანას სიმღერებით ამ მიწაზე გამოზრდილო,
აქარგულო, ჩაქარგულო, მთების ტრფობით დახატულო,
ათასფერი სხივისაგან შაქარივით დატკბილულო.

◆ ◆ ◆

უმარტივესი ცნობიერებით ვლინდება ზე ღვთაებრივი განგებულება.

* * *

არავის არ აქვს იმდენი ჯილდო უფლისგან, რამდენიც მომთმენ და მიმტევებელ სულს გააჩნია.

* * *

სისასტიკეს შობს ის უკმაყოფილება, რომელიც მიწიერად უღირს სულებს გააჩნიათ.

რა არ იშლება, რა არ ხდება, რა არ იცვლება; მხოლოდ კაცობა ჭეშმარიტი არასდროს ქრება.

* * *

რაც არ გითქვამს ნუ ეცდები რომ გაიხსენო,
რაც არ გსმენია, მადლობა ღმერთს, არც მოისმინო,
რაც არ გიქნია, აღარა თქვა გავაკეთეო,
იყავი ჩუმად, შეეცადე ჩუმად ითმინო.

## სკოლამდელ დაწესებულებებში

# გზა ლამაზი მომავლისკენ!...

ოცდამეთუთხმეტედ იზეიმა ექვსწლიანთა გამოშვება ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღმა „წითელქუდამ“. ოცდამეთუთხმეტედ, მაგრამ როგორც თავად ამბობენ, არცერთი დღესასწაული ერთმანეთს არ გავდა. თითოეული ერთმანეთისგან გამორჩეული და განსხვავებული იყო. ეს გამორჩეულობა და განსხვავებულობა აქ მოღვაწე ადამიანების– მთავარი სპეციალისტ ნარგიზა ტუღუშის, აღმზრდელების და პედაგოგების–ნატო ხურციას, ნონა გარუჩავას, დარეჯან საბეკიას, ქეთინო აბშილავას, მაყვალა ჭიჭინაძის, ნანა ქაშიბაძის, ნათია ჭურღულიას, მანანა უბილავას, ლალი დევნოზაშვილის, თეონა ჩარგაზიას, ნანა რუხაძისა და სხვათა და სხვათა დამსახურებაა, რომლებიც ათეული წლებია აქ მოღვაწეობენ და ხარობენ თავიანთი აღზრდილებითა და ბაგა-ბაღის ყოველდღიურობით. მიდი-მოდიან თაობები, მათი ბაღში გატარებული ლამაზი დღეები უფრო შინაარსიანი და მიმზიდველი ხდება...

ის დღე ბაგა-ბაღ „წითელქუდაში“ ტრადიციულად ლამაზი და მიმზიდველი იყო. ყოველი ახალი თაობის გაცილებას უდიდესი სიხრული ახლავს აღმზრდელებისთვის, თითოეული აქ მომუშავე ადამიანისთვის, ბავშვებისა თუ მათი მშობლებისთვის. თითოეულს ახარებს, რომ თავიანთი აღზრდილები დაფრთიანდნენ და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასასვლელად ემზადებიან. მათ სკოლა ელოდებათ!..



...დარბაზში ცხელა, გარეთ კი ქარია და გასვლა შეუძლებელი, ამიტომაც 35-ე გამოშვება შენობის დიდ დარბაზში ჩატარდა... ლამაზად მორთულ დარბაზში ბევრი სტუმარია, ღელავენ პატარები, ღელავენ აღმზრდელები და დამსწრე საზოგადოება. პატარებს ერთი სული აქვთ მალე გავიდნენ მაყურებლის წინაშე და თავიანთი „ოსტატობით“ გააოცონ ისინი.

ნიჭიერი და ლამაზი თაობა მოდის. მათ ყოველ გამოსვლაში იგრძნობოდა ბაღისადმი, მასწავლებლებისადმი და საერთოდ, ერთმანეთისადმი დიდი სიყვარული და მეგობრობის ძალა.

პატარებმა ყველაფერი იციან: ანბანი, მათემატიკური რიცხვები, კითხვა, ლექსები და სიმღერები, ცეკვები. ბაღში ყველაფერი კეთდება მათი აღზრდისთვის და ცოდნის დაუფლებისთვის. ბაღის ასაკი ხომ ის ეტაპია, ის საფეხური, სადაც ეჩვევიან ურთიერთობებს, სწავლობენ მეგობრობის ანაბანას. დახვეწილია მათი სასწავლო პროგრამები და პროექტები, რითაც ხელმძღვანელობენ ბაგა-ბაღი და მისი აღმზრდელები, სკოლას კი ყოველწლიურად „დაბრძენებული“ პატარები სტუმრობენ... იქ სხვა სამყაროა, პატარებისთვის უცხო, შეუჩვეველი, მაგრამ ადვილად შესაჩვევი და შესაგუებელი...

...ზეიმი დაიწყო, დარბაზში მაგიდებს პატარები მიუსხდნენ, კედლებიდან ასო-ბგერები იმზირებიან. მაგიდებზე სამუშაო მასალა აწყვია. უსაყვარლესი და მათი მესაიდუმლე ნატო მასწავლებელი ჩვეული ენთუზიაზმით მოძღვრავს პატარებს და ახალ-ახალ დავალებებს აძლევს აღსაზრდელებს. ის, როგორც ყოველთვის, ამ დღის წამყვანი და ორგანიზატორი გახლავთ. იყო პროგრამული მასალის–ნასწავლის გამოკითხვები და შეფასებები...

ულამაზესი იყვნენ თვალებგაბრწყინებული პატარები, დარბაზში იფრქვეოდა მუსიკის ჰანგები, იყო სიმღერები, ცეკვები, ლექსების ხატოვნად თქმა და ხალისიანი განწყობა. პატარების განტვირთვის მიზნით, მათი გამოსვლების შუალედებში ბაღთან დამეგობრებული გოგონათა ტრიო „ტატალის“ მონაწილეები თავიანთი ლამაზი ჰანგებით ართობდნენ მაყურებლებს... ის განცდა, რაც იქ გეუფლებოდა, ქაღალდზე ისე ლამაზად გადმოიტანო, შეუძლებელია.

ლამაზი დღე დიდხანს გაგრძელდა, ამ დღეს ყველა ბავშვი ლამაზი და გამორჩეული იყო. ყველა გრძნობდა კმაყოფილებას, თითოეულმა იცოდა, რომ ხვალ ისინი ბაღში კი არა სკოლაში წავალენ. და... გართობა და თამაში კი არა, იქ სასწავლო წიგნები, რვეულები და მომავალი ცხოვრების ახალი ეტაპი ელოდებათ...

პატარებს ლამაზი მომავალი უსურვა ნატო მასწავლებელმა, მთავარმა სპეციალისტმა ნარგიზა ტუღუშმა, მუნიცპიალიტეტის სკოლამდელთა საალმზრდელო გაერთიანების დირექტორმა ელისო კვიკვინიამ, გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ფერიდე გოგიამ. გამოსაშვები ჯგუფის მშობელთა სახელით პატარებსა და მათ აღმზრდელ მასწავლებლებს ეს ლამაზი დღე მიულოცა ამ ბაღის ყოფილმა აღსაზრდელმა. თავად სამი შვილის დედამ თამუნა სიჭინავამ.

...დასასრულს ხმამაღლა იფრქვეოდა მუსიკის ჰანგები, ცეკვავდნენ დიდები და პატარები. გოგო-ბიჭები ჟრიამულით ემშვიდობებოდნენ საყვარელ, აღმზრდელ ბაღს, გაისმოდა ომახიანი ხმები „ნახვამდის ბაღო! გამარჯობა სკოლავ!..“

თვალცრემლიანი ტოვებდა ყველა ამ შენობას იმ იმედით, რომ „კიდევაც დაიზრდებიან“ ჯანმრთელი და ნიჭიერი ბავშვები!...

გზა ლამაზი მომავლისაკენ, ჩემო პატარებო!

***ნანი კილასონია.***

# გზა დაგელოცოთ!..

„ექვსმა გაზაფხულმა
გაიარა
ექვსმა ყვავილობის თვემ,
ექვსი სანთელი გვაქვს
ანთებული
ექვსი წლისა ვართ ჩვენ,
გზა დაგვილოცეთ
სკოლისაკენ
ამას ველოდებით ჩვენ.“



საბავშვო ბაგა-ბაღის ცხოვრებაში ზეიმი მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა, რომელსაც თან ყოველთვის დიდი სიხარული ახლავს. აქ წელიწადის ვერცერთი დრო შეუმჩნევლად ვერ ჩაივლის. პატარები მთელი გრძნობით მღერიან, ცეკვავენ და ნამდვილი ზეიმის მონაწილენი ხდებიან...

ხობის მუნიციპალიტეტის 30 საბავშვო ბაგა-ბაღში ეს სასურველი დღე დადგა. პატარები გაიზარდნენ და სკოლისაკენ პირველ ნაბიჯებს დგამენ. ეს დღე ყოველთვის ლამაზად და მნიშვნელოვნად გამოირჩევა, ასე იყო ამჯერადაც ხობის №1 (მთავარი სპეციალისტი მარინა შონია, აღმზრდელ-მასწავლებელი ირმა ხურცილავა, მუსიკის მასწავლებელი ფიქრია თოდუა) და პირველი მაისის (მთავარი სპეციალისტი ლელა ქანთარია, აღმზრდელ-მასწავლებელი დალი ქარცხია, მუსიკის მასწავლებელი მაკა კვიკვინია) საბავშვო ბაგა-ბაღებშიც. აქ უჩვეულო განწყობა იგრძნობოდა. დილიდანვე ღელავდა დიდი თუ პატარა. აღსაზრდელები თანატოლებს სიმღერებით, ზოგიც კი ცეკვებით, ბავშური სიკეკლუციით უფროს თაობას თავს აწონებდნენ. თითოეული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელი განსხვავებული ნომრით გამოირჩეოდა. ეს არ იყო უბრალო ღონისძიებები, ეს უფრო ცოდნის ზეიმები გახლდათ. ვერც მაყურებელი ვერ მალავდა ემოციებს, სიხარულის ცრემლებს, აღფრთოვანებას...

პატარების მონაწილეობით გამართული ზეიმები მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ფერიდე გოგიამ და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორმა ელისო კვიკვინიამ შეაფასეს, მათ პედკოლექტივს დაუღალავი შრომისთვის მადლობა გადაუხადეს და პატარებს სკოლისაკენ მიმავალი გზა დაულოცეს.

წელს პირველი მაისის საბავშვო ბაგა-ბაღში სრულიად განსხვავებული საზეიმო განწყობა სუფევდა. მათთან განსაკუთრებული სტუმარი–ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ტაძრის წინამძღვარი იაკობი



(სურმავა) სტუმრობდა. მამა იაკობმა პატარებს სკოლისაკენ მიმავალი გზა დაულოცა და საჩუქრად ხატები გადასცა.

პატარები მთავარმა სპეციალისტებმა და აღმზრდელ-მასწავლებლებმაც დალოცეს და მათ ლამაზი სურვილები, წინსვლა და წარმატებები უსურვეს...

ჩვენც ვუერთდებით მოლოცვებს, და ყველა პატარას ვულოცავთ სკოლისაკენ მიმავალ გზას. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერ მომავალს, თითოეული მათგანი ჩვენი სამშობლოს სასახელო შვილი გაზრდილიყოს!

**ნანა კემულარია**

## სპორტი

# ზვიად დათუაშვილის სახელობის თასზე



სოფელ შუა ხორგაში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას 6 გუნდი იღებდა, რომლებიც A და B ჯგუფებში გაერთიანდნენ. A ჯგუფში შედიოდნენ ახალსოფლის, ჭალადიდისა და პირველი ხორგის ფეხბურთელთა გუნდები, B ჯგუფში კი შუა ხორგის, ყულევისა და ქარიატის ფეხბურთელები ასპარეზობდნენ. ჯგუფური თამაშები მეტად საინტერესოდ წარიმართა და ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ, რომლებიც ასე დაწყვილდნენ: ახალსოფელი–ქარიატა, შუა ხორგა–ჭალადიდი. პირველ ნახევარფინალურ მატჩში ახალ სოფლელებმა ქარიატელებს სძლიეს და ფინალში გავიდნენ. შუა ხორგელებმა ასევე ჭალადიდელებს ძლიეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს ნახევარფინალში წაგებულები ქარიატისა და ჭალადიდის ფეხბურთელთა გუნდები დაუპირისპირდნენ. მატჩი დაძაბულად წარიმართა და ძირითადი დრო ფრედ 2:2 დამთავრდა. პენალტების სერიაში კი უძლიერესები ჭალადიდელები აღმოჩნდნენ. ამრიგად, მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი ჭალადიოდელებს გადაეცათ, რომლებმაც ღირსეულად მესამე ადგილი დაიკავეს.

ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ შუა ხორგისა და ახალი სოფლის გუნდები წარსდგნენ. მატჩი მეტად საინტერესოდ გაიმართა და ახალ სოფლელთა გამარჯვებით დამთავრდა. ამრიგად, ზვიად დათუაშვილის სახელობის თასიის ღირსეული მფლობელი ახალი სოფლის ფეხბურთელთა გუნდი გახდა, რომელიც თასითა და სიგელით დაჯილდოვდა, მეორე ადგილი ერგო შუა ხორგის ფეხბურთელთა გუნდს. მათ მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ.

ტურნირზე საუკეთესო ფეხბურთელებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში დაწესებული იყო პრიზები.

საუკეთესო მეკარე გახდა გოჩა გაგულია (ახალი სოფელი); საუკეთესო მცველი–ლაშა დოლბაია (შუა ხორგა); საუკეთესო ნახევარმცველი–ნიკა ჩაფიძე (ჭალადიდი); საუკეთესო თავდამსხმელი–გურიელ ქარჩავა (ქარიატა); საუკეთესო ბომბარდირი გახდა ნიკა ვეკუა (ახალი სოფელი); ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად აღიარეს ხობის კოლხეთის ყოფილი ფეხბურთელი ლევან ჩაჩიბაია (ახალსოფელი).

თამაშების შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც უძღვებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი და შეჯიბრების მთავარი მსაჯი ვლადიმერ გერგაია, ქარიატისა და შუა ხორგის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები ვალერიან ქაცარავა და ირაკლი ბერაია.

დაჯილდოების შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ზვიად დათუაშვილის ხსოვნას, კიდევ ერთხელ მოიგონეს ახალგაზრდა ვაჟკაცი და მასთან ერთად სამშობლოსთვის დაღუპული თავდადებული გმირები.

ტურნირი ორგანიზებული და დაფინანსებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ.

***ლევან ლემონჯავა***

# საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ნანა ალექსანდრიას თასი—2014“



ქ. ფოთში საზეიმოდ დაიხურა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ნანა ალექსანდრიას თასი-2014“. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 12 ქვეყნის 450-მდე წამყვანმა მოჭადრაკემ, მათ შორის იასპარეზა ხობელმა ნორჩმა მოჭადრაკემ თეიმურაზ კვიკვინიამ, რომელმაც შეჯიბრზე III საპატიო ადგილი დაიკავა. ტურნირის ორგანიზატორებმა: ქალაქ ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ნანა ალექსანდრიას სახელობის ფოთის საჭადრაკო სკოლისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელმა პირებმა გამარჯვებული მოჭადრაკეები დააჯილდოეს თასებით, მედლებით, სიგელებითა და ფულადი ჯილდოებით.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ულოცავს თეიმურაზ კვიკვინიას გამარჯვებას და უსურვებს წარმატებებს.

# ნორჩი კარატისტების წარმატება



სამეგრელოს ტაეკვონ-დოს (WTF) ფედერაციის ინიციატივით ჩატარდა საქართველოს ამხანაგური ღია ჩემპიონატი კარატე ტაეკვონდო-ში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის, წალენჯიხის სასპორტო სკოლების 1995-2002 წლებში დაბადებული ნორჩი კარატისტები. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის კარატეს ჯგუფის მოსწავლეები (მწვრთნელ-მასწავლებელი პაატა ოჩიგავა). ხობელმა ნორჩმა სპორტსმენებმა ღირსეული წარმატება მოიპოვეს.

საერთო შედეგების მიხედვით გუნდურ III ადგილს დასჯერდნენ, ხოლო პირადი შედეგები კი ასეთია: გივი შანავა(42 კგ წონითი კატეგორია) I ადგილი; გიგი იოსავა 122 კგ წონითი კატეგორია) I ადგილი; დაჩი ნადარაია(55 კგ წონითი კატეგორია) II ადგილი;

გურამ ალექსანდრია(42 კგ წონითი კატეგორია) II ადგილი; თემურ ალანია(28 კგ წონითი კატეგორია) II ადგილი; ქრისტინე ბუკია (35 კგ წონითი კატეგორია) II ადგილი

## ხსოვნა

# მათე თირქია



ჩემო საყვარელო შვილო, მათე, ერთი წელი სრულდება იმ დღიდან, რაც შენ აღარ ხარ ამ ქვეყნად, მაშინ ჩვენთვის მზე ჩაესვენა და ვერასდროს გამოანათებს იმ საშინელი ტკივილისა და ენით გამოუთქმელი ტრავმის გამო, რაც შენმა გარდაცვალებამ გვარგუნა. მიკვირს, უშენოდ ცოცხლები როგორ ვართ, მაგრამ ყველაფერი ღვთის ნება ყოფილა, თუმცა არ გეგონოს, რომ მართლა ცოცხლები ვართ, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და გული შენთან ერთად დაიმარხა... ყოველდღე სასაფლაოზე მიმავალი ვჩქარობ, მგონია მელოდები და ვაგვიანებ, იქ კი ბევრს გესაუბრები, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმის, სახლში დაბრუნება არ მინდა, მაგრამ მაინც ვბრუნდები, იქ ხომ მამაშენი და შენი პატარა დაიკო მელოდებიან, შენ ჩვენი ლამაზი და ჭკვიანი ბიჭი იყავი, მათუ!

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მშობლებისთვის ყველა შვილი ლამაზი და კარგიაო, მაგრამ ვისაც, თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონია შენთან, დამემოწმება, რომ რეალურად მართლაც გამორჩეული იყავი. ჩვენ ვამაყობთ, რომ მათუ თირქიას დედ-მამა ვართ, შენ სიცოცხლისთვის მხოლოდ 12 წელიწადი იკმარე და ამ პერიოდში, სადაც კი ვყოფილვართ და ვისაც კი შევხვედრივართ, პირველ რიგში დიდი სიყვარულით გამკობდნენ, სიხარულით ცას ვეწეოდით, ახლა კი, არც კი ვიცი ვინ ვართ, ნაცნობ-მეგობრების შეხვედრა მზარავს, რადგან მათი თვალებიდან ვკითხულობ ფრაზას: „საცოდავები: თეონა და ხვიჩა, მათეს მერე ცოცხლები როგორ ხართო“.

დღემდე, რომ ცოცხალი ვართ ეს განაპირობა შენი ერთადერთი დაიკოს არსებობამ, რომელიც გაძლების ძალას გვაძლევს. ყველანაირად ცდილობს, ტკივილი და სევდა გაგვინელოს, მაგრამ გულში ვერავინ და ვერაფერი შეავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც შენ დაგვიტოვე, შვილო.

დიდი მადლობა ყველას, ვისაც ჩვენი ტკივილი გულთან მიაქვს, მეზობლებს, რომლებიც ყურადღებას არ გვაკლებენ, ნათესავებს, შენს მეგობრებს, ყველას, ვინც არ გვივიწყებს.

ტკივილით ვიტანჯებით შვილო, შენი მშობლები და თუ რამე აძლევს სტიმულს ჩვენს სიცოცხლეს, ეს არის ზრუნვა შენი ლამაზი სულისთვის, გვინდა ვირწმუნოთ, რომ იმ ქვეყნიერ სამოთხეში აგრძელებ სიცოცხლეს.

ცრემლი გულისტკივილს არ ანელებს, მათუ! დედ-მამის გაბზარული გული არასდროს გამთელდება... ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენთვის ჩვენო ერთადერთო ვაჟკაცო, მათუთია!

***დედა–თეონა კობახიძე,***
***მამა–ხვიჩა თირქია.***

# ჩვენი ტკივილი ხარ...



მართლაც რომ წუთიერია ეს მიწიერი ცხოვრება. ადამიანის სიკვდილი მზის ჩასვლას ჰგავსო, მართლაც ასე ყოფილა, ყველაფერი ცივია უშენოდ. 12 წლის ასაკში მიგვატოვე და სურათზე საფერებლად დაგვრჩი. მონატრებად დარჩენილი ფიქრი ხარ. ყველას ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, აგერ უკვე ზაფხული ნავარდობს შენს მშობლიურ ხობში, ჩვენს გულებში კი კვლავ ცივი ზამთარია. რაც დრო გადის, უშენობა უფრო გაუსაძლისი ხდება, მათუ, გვენატრება შენი ომახიანი ხმა, ნათელი და ღიმილიანი სახე. წლები ვერაფერს დააკლებს იმ გრძნობას, რაც შენ ჩვენში სამუდამოდ დატოვე. შენ ყოველთვის დარჩები ჩვენს ნაიარევ გულში სიყვარულად და თვალზე ცრემლად...

შენი სიცოცხლე ხანმოკლე კი არა, მხოლოდ ერთი გაელვება იყო. სიცოცხლით სავსე და მუდამ ღიმილიანი დარჩები ჩვენს მეხსიერებაში.

2013 წელი, 12 ივლისი... ამ საშინელმა დღემ მოულოდნელად წაგვართვა შენი სიცოცხლე, შენს ტანჯულ დედ-მამას სამუდამოდ უსაშველო ცრემლი დაუტოვა, სურათებს და საფლავს ეფერებიან და ამით აგრძელებენ ცხოვრებას. ვაი, თუ ამას ცხოვრება ჰქვია, უშენოდ. მათუ, ყველაფერი გაჩერდა შენი საწყალი დედ-მამისთვის. ძნელია უშენობა მათუ, მონატრება ხარ, ჩვენს ცხოვრებას რომ ასდევნებია, შენ ფიქრი ხარ, რომელიც ყოველდღე ჩვენს გვერდით ცხოვრობს და სუნთქავს, შენ დაუსრულებელი მოლოდინი ხარ.

რა უცებ გავიდა ეს ერთი წელი, 12 ივლისი შენი ზეცაში აფრენის დღეა, მათუ! ავადმყოფობის შემდეგ ამბობდი: „მე ზეცის შვილი ვარო...“ რატომ მათუ, რა იცოდი რომ შენი ლამაზი ცხოვრება ასე დასრულდებოდა ორ თვენახევარში, არასდროს ავად არ ყოფილხარ... რა დაუნდობელია ეს წუთისოფელი.

მათუ, გემშვიდობებით და გეტყვით: ჩვენი სულის ლუჯი ყვავილები მუდამ შეამკობს შენს საფლავს, ღმერთს ვთხოვთ, გზა გაგინათოს ცათა სასუფევლისკენ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათუ თირქიას უმწიკვლო სული. გვენატრები!..

***დაიკო თიკო თირქია,***
***მამიდაშვილები თამთა და ლუკა ნაჭყებიები***

# ქრისტინას „ისარი“ ახალ გამარჯვებებს უქადის



მშვილდოსანი ქრისტინა ესებუა ჩვენი თანამემამულეა–პირველმაისელი. მისმა ბავშვობის წლებმა, თანატოლებთან ერთად, პირველმაისში გაირბინა... იმ წლებში, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მისი ოჯახი საქართველოს განერიდა და საცხოვრებლად უკრაინას მიაშურა, დასავლეთ უკრაინის ულამაზეს ქალაქ ლვოვში დაიდეს ბინა...

სწავლის პარალელურად ქრისტინამ და მისმა და-ძმამ დედის თხოვნა, გაყოლოდნენ მის გზას და მშვილდოსნები გამხდარიყვნენ, რეალობად იქცა. ქისოს (ასე ვეძახდით მას) სპორტის ეს სახეობა თავიდანვე ძალიან მოეწონა და შეიყვარა, დახელოვნდა. წარმატებებმაც არ დააყოვნა...

ლვოვში მალე ქრისტინა, სახელოვანი მწვრთნელის მონიკა სიმუნისის ხელში მოხვდა და დაახელოვნა კიდეც. ქართველი გოგონა უკრაინის ნაკრებში მოხვდა და ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულები მოირგო. მისი მოპოვება ადვილი როდი იყო ქართველისთვის, მაგრამ დიდი შრომით სახელოვანი გახდა... ეს იყო უკრაინაში...

გადიოდა წლები, ქრისტინას ნოსტალგიამ სძლია, საქართველოში უნდოდა წამოსვლა და თავისი ქვეყნის სახელით ებრძოლა. დედამისი ამის თაობაზე საქართველოს მშვილდოსანთა ფედერაციას დაუკავშირდა, მაგრამ რატომღაც საქმე ჭიანურდებოდა. შემდეგ მან საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ხობის მუნიციპალტეტიდან, გოდერძი ბუკიას მიმართა. მისი თანადგომით, ხელშეწყობითა და მეცენატობით ის თბილისში გადმოვიდა. უკვე ახალი წარმატებების მოსაპოვებლად ბრძოლა საქართველოს სახელით დაიწყო...

გოდერძმა მას პირველი საჩუქარიც მიართვა–ახალი მშვილდისარი და შემდგომი წარმატებები უსურვა, თან დასძინა, მის სპორტულ კარიერას თვალს მიადევნებდა და საჭიროებისსამებრ დახმარებას გაუწევდა.

როგორც ქრისტინა ესებუას ფეისბუქზე გამოქვეყნებული ნიუსებიდან ჩანს, ის ქართველ მშვილდოსნობის ფედერაციაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ეიმედებათ და სჯერათ, რომ მისი მომავალი გზა ახალ მსოფლიო ჩემპიონობაზე გადის.

აი რას წერენ მასზე (ამონარიდები):

„ქრისტინა არის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონატის ჩემპიონი და პრიზიორი“.

„ესებუა მეორე სპორტსმენია, რომელმაც ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა ქართველ სპორტსმენთაგან (2012 წელი). პირველი ლიცენზია ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ მოიპოვა, მეორე კი ქრისტინაა!“

„ქრისტინა ესებუამ იტალიაში, ქალაქ ტურინში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ურთულეს ბადეში მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებს შორის მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი მოიპოვა“.

„...ქრისტინა ესებუას ნამდვილად შესწევს ძალა, რომ მან წარმატებები მოიპოვოს, რაც მსოფლიო ჩემპიონატზე დაამტკიცა. აღარაფერს ვამბობთ იმავე წელს ევროპის ზამთრის ჩემპიონატის ოქროს, გუნდურში მოპოვებულ ვერცხლისა და ბრინაჯაოს მედლებზე. მაისის მიწურულს კი ამსტერდამში ევროპის ჩემპიონატზე თავის ნადავლს ბრინჯაოს მედალიც შემატა“.

ქრისტინას ტიტულებსა და ჯილდოებს ზღვარი არ უდევს. მისი გზა ახალი წარმატებების მოპოვებას უქადის.

ამასწინათ ქრისტინა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მშვილდოსანთა ევროპის დიდი პრიზის გათამაშებაში იღებდა მონაწილეობას სხვა ქართველ ჩუბუნებთან ერთად, საკვალიფიკაციო ეტაპზე შესანიშნავად იასპარეზა მსოფლიოს ვიცე–ჩემპიონმა ქრისტინა ესებუამ და ყველა მეტოქე დაჯაბნა.

ნახევარფინალში მედლებისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში მან იტალიელ სარა ვიულის აჯობა, ფინალში წარმატებას ვერ მიაღწია და ბულგარული „ვერცხლის“ მფლობელი გახდა.

...წინ დიდი, ახალი და ძლიერი სავალი გზაა, რომელიც კვლავ მსოფლიო ჩემპიონობამდე და ოქროს მედლამდე მიიყვანს.

ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს ჩვენო ქრისტინა!

***ნანი კილასონია.***

# ბედნიერი ვარ, როცა ჩემი მოსწავლეები წარმატებულნი ხდებიან...

რწმენა მთებსა სძრავს, რწმენაა მთელი ცხოვრება... რწმენამ სამებამდე მოგვიყვანა, ეს უფლის ნება იყო, ფინალის შემდეგ წილად გვხვდა ბოლნისის ეპარქია მოგველოცა ორი დღე. ექვსი წელია, რაც ბიბლიის კონკურსი ტარდება, რამოდენიმეჯერ ჩვენმა ბავშვებმა ნახევარფინალამდე მიაღწიეს, ჰყავდა უძლიერესი გუნდი, არ შეიძლება არ აღვნიშნო დებისნინო და ანა კვიკვინიების ღვაწლი, მათი ცოდნა, ასევე მათი მასწავლებლის–მანანა ხვიჩიას შრომა.

მინდა ჩემს ბავშვებს მივულოცო წარმატებები და ვუსურვო უამრავი გამარჯვება. უდიდესი მადლობა ყველას... ჩვენი სკოლის დირექტორს, ბატონ კობა კვიკვინიას, რომელმაც იზრუნა ჩვენთვის, ყველაფერში დაგვეხმარეთ, გმადლობთ ბატონო კობა... „ნეტარ არიან კეთილნი, რამეთუ მათია სასუფეველი ცათა“ უფალი არავის არაფერს უკარგავს და .მადლობა იმ ადამიანებს, ვინც დაგვეხმარა, წავსულიყავით სამებაში. უდიდესი მადლობა ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ გოჩა ქაჯაიას, გფარავდეთ უფალი... უდიდესი მადლობა ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულსა და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ გოდერძი ბუკიას იმ სიკეთისთვის, რაც ჩვენს ბავშვებს უკვე მერამდენედ გაუკეთა. თქვენ დააფასეთ თქვენი მშობლიური სკოლის წარმატებები და როცა ჩემი მერვეკლასელი მოსწავლე გახდა ქართველი კალიგრაფი, თქვენ მუსიკალური ცენტრით დაასაჩუქრეთ სკოლა და ცალკე მოსწავლეც, ამჟამადაც იზრუნეთ თქვენი სკოლის მოსწავლეებზე, წავსულიყავით ფინალში... თქვენი და გამგეობის დაფინანსებით ყველაფერი მოგვარდა... უდიდესი მადლობა ბატონ რევაზ წულაიას, რადგან თქვენ გვიშუამდგომლეთ ბატონ გოდერძისთან ჩვენი სამებაში წასვლისთვის, მადლობა ქალბატონ ხათუნა გერგაიას... მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ხობში არ ბრძანდებოდით, ყველაფერს აკეთებდით ჩვენი წასვლისთვის... მადლობა მუსიკის მასწავლებელს ნათია ლატარიას, რომელმაც მოამზადა მგალობელთა გუნდი, მადლობა ნინო ცხადაიას, რადგან თქვენ გვიშუამდგომლეთ ბატონ რევაზ წულაიასთან, მადლობა ნინო ლიპარტიას, რომელიც ჩვენთან იყო და იზიარებდა ჩვენს სიხარულს...



და ყველა იმ მასწავლებელს, ვინც ჩვენთან იყო სულით, გულით და საქმით... ასევე მადლობა ჩემს ბავშვებს, ყოველთვის მხნედ, რწმენით და იმედით იყავით, ჩემო მოსწავლეებო. მინდა მოვეფერო და მადლობა ვუთხრა თქვენს მშობლებს, რომლებიც ჩემთან ერთად იყვნენ, კარგია, როცა ერთად ვაკეთებთ თქვენი შვილებისთვის სასიკეთო საქმეს... ბავშვები, მშობლები, მასწავლებლები ესაა სკოლის ცხოვრება, ამით დიდ შედეგს ვაღწევთ, ნუ დაიზარებთ, მშობლებო, ყოველთვის დათმეთ დრო და ენერგია თქვენი შვილებისთვის. ...მადლობა უფალს მთელი სულით, გულით და სიყვარულით... მარად იყავი ჩვენი მფარველი... მადლობა საპატრიარქოს, უნეტარესსა და უწმინდესს ილია მეორეს... არ მოჰკლებოდეს თქვენი ლოცვა-კურთხევა სრულიად საქართველოს...

28 ივნისი. სამების საკათედრო ტაძარი. ბიბლიის ფინალი. გუნდი „ედემი“ მონაწილენი– პოლინა ფილიპია–კაპიტანი, გიორგი ჭითანავა, გიორგი წოწერია, ჯანო გაბისონია, ლევან ბუსქანძე, ანდრო გაბისონია, ქრისტინე პერტია (ძირითადი შემადგენლობა) სათადარიგო–ელენე გერგაია, მარი გაბისონია, ანი ბერაია. ხელმძღვანელი–ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი–თავად მე, ნინელი (მზია) ხუხია. მგალობლები–ინა ბუკია, გვანცა ქაჯაია, მარი კვიკვინია. მასწავლებელი–ნათია ლატარია. ბედნიერი ვარ, რომ ფინალში მოვხვდით... ოთხასი სკოლიდან მეხუთე ადგილი... პატრიარქის ლოცვა-კურთხევა, სიგელები და საქართველოს ერთ-ერთი კუთხის ორდღიანი მოლოცვა... არაჩვეულებრივია... ნამდვილი ღვთის წყალობა. მინდა ჩემი საყვარელი სიტყვებით დავლოცო ყველა, მათ შორის ჩემი ბავშვები... აღმა სვლასა და ღმერთთან მიახლოებას გისურვებთ ჩემო მოსწავლეებო... მეც თქვენთან ერთად ვარ სულით, გულით, საქმით... ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ ტაო–კლარჯეთისთვის...

**ნინელი-მზია ხუხია.**

პატივცემულო რედაქცია, ვულოცავ მთელ საქართველოს, კერძოდ, ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ხელმძღვანელ პირებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მმართველი პარტიის გამარჯვებას, ამასთან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც გაიხსენა ჩემი მოღვაწეობის პერიოდში გაწეული შრომა და მომილოცა 80 წლის იუბილე, გაიზიარა ჩემი და ჩემი ოჯახის სიხარული. ვისურვებდი, თითოეულ მათგანს უფალმა დაანათლოს ულევი სიხარული, ჯანმრთელობა და წარმატებები საზოგადოებრივ სარბიელზე.

უდიდესი პატივისცემით

***შალვა ხარებავა.***

## მოლოცვები

### მელანო კონჯარიას!



**მელანო, ჩვენო სიცოცხლე და სიხარულო, უკვე 4 წლის გახდი, 15 ივლისს მოევლინე ქვეყნიერებას. გესიყვარულებით, ვცდილობთ, ბედნიერი იყო, კარგი განათლება მიიღო და შენი ზრდილობითა და წესიერებით გაგვახარო, სიკეთე და სიხარული იყოს შენი ცხოვრების თანმდევი.**

**დედიკო და მამიკო.**

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.